


ეკონომიკური პროფილი



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
ე - 491

№18, 2018 წელი
დეკემბერი

ISSN 1512-3901 (ბეჭდ.)
E ISSN 2587-5310 (ონლაინ)

ნომერულია

მაკროეკონომიკური პირობებები

ტუჩიშვი

სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანური
პირობებები

სარედაქციო კოლეგია**მთავარი რედაქტორი:**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის (სემა) ნამდვილი წევრი, პროფესორი

რედაქციის კავშირის**პასუხისმგებელი რედაქტორი:**

ე.მ.დ., სემას-ს ნამდვილი წევრი
პროფესორი ნიკო ჩიხლაძე

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

აკად. ავთანდილ სილაგაძე

პროფესორები:

ვეგენი ბარათაშვილი

რევაზ ბასარია

რევაზ მანველიძე

ელგუჯა მექვაბიშვილი

გედევან ხელია

გიორგი ღავთაძე

აკადემიური დოქტორები, ასოცირებული

პროფესორები:

აკაკი ბაკურაძე

ლელა ბახტაძე

გიორგი შიხაშვილი

ნაირა ვირსალაძე

გურამ უფლისაშვილი

ხათუნა შალამბერიძე

გოდერძი შანიძე

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები,

პროფესორები:

ტიმო ლინკოლა (ფინეთი)

პეტრე მაშეგოვი (რუსეთი)

სერგეი ლუკინი (ბელორუსი)

მარია ტურიანსკაია (უკრაინა)

4601, საქართველო, ქუთაისი

წერეთლის ქუჩა №13

ტელ: 0 431 24 23 73, 25 12 73

info@unik.edu.ge, chixi@mail.ru

www.economicprofile.org

დამფუძნებელი:

ქუთაისის უნივერსიტეტი
www.unik.edu.ge

შინაარსი

ნაზი ბარათაშვილი, გაზა ფარსენაძე

საგადასახადო პოლიტიკის და საექსპორტო

პოტენციალის ამაღლების გზები,

როგორც ეკონომიკის მდგრადი

განვითარების საფუძველი.....3

თეონა გრიგოლაშვილი

სპეციალური ღონისძიება, როგორც ტურიზმის

ბიზნესის მნიშვნელოვანი ელემენტი.....10

ელგუჯა დეისაძე

სოფლის ტურიზმის როლი სოფლის მდგრადი

განვითარებისთვის.....14

ლია ელიაშვილი

საბანკო ზედამხედველობის მოდელების

ძირითადი თავისებურებები გლობალიზაციაში

მსოფლიოში.....18

გიორგი შიხაშვილი

სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი

საქმიანობის სინერგიული ასპექტები იმერეთის

ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელის მოღვაწეობასა

და შემოქმედებაში.....26

ნიკოლოზ ჩიხლაძე, გაზა ფარსენაძე

ექსპორტის მხარდამჭერი სისტემები

საზღვარგარეთის ქვეყნებში.....32

ბორის ჭიჭინაძე

ადგილობრივი მმართველობების

განვითარების პრობლემები საქართველოში.....40

მირზა ხიდაშელი

საქართველოს საბანკო სექტორის ტენდენციები

და გამოწვევები.....54

ვალისშვილი თეა, გენელიძე ლია

ბრენდები და მათი ადგილი თანამედროვე

ქართულ ბაზარზე61

ნაზი ბარათაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

ზაზა ფარსენაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საგადასახადო პოლიტიკის და საქსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები, როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და ხელისუფლების მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების საკითხში. ყველა ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს შეიმუშაოს ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც შეძლებს სწრაფად განავითაროს ეკონომიკა და უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა. [6]

საქართველოს ეკონომიკის სწრაფი განვითარება და სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო პოლიტიკის სტიმულირებაზე და ასევე, სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის ქმედითუნარიანობაზე. სწორი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. მასზეა დამოკიდებული ზოგადად სხელმწიფოებრივი ინტერესებისა და მეწარმეების კომერციული ინტერესების ჰარმონიზაცია. ძლიერი ქვეყანა ნიშნავს ქვეყნის დიდ საექსპორტო შესაძლებლობებს, რომელიც უნდა დაეფუძნოს უახლოეს ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც კონკურენციულ ბრძოლაში არის წარმატების საწინდარი. აქედან გამომდინარე, მთავარი ამოცანაა ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმიზაცია და შინაგანი და გარე ბაზრების ჰარმონიზაცია.

საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებად უნდა იქცეს ეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროების სტიმულირება. სავაჭრო პოლიტიკა კი უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს.

„საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება, ითვალისწინებს ბიზნესსაქმიანობის შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან და ნორმებთან. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიზნესსექტორის ინფორმირებულობას შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან და ასევე, ევროკავშირის სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამასთან, სახელმწიფო შეიმუშავებს ეფექტიან მექანიზმებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების შემცირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე და პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები, შესაბამისად, აუცილებელი ხდება სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა და საგადასახადო სისტემის ეფექტურობა. [4]

ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა და სახელმწიფო უნდა იყოს საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტი საექსპორტო და საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებით. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს რეფორმების ეფექტიანი განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის მიმზიდველი და სტაბილური გარემოს შექმნა კი უნდა უზრუნველყოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდამ და ეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ.

ეკონომიკის მდგრადი განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გვესახება. ეკონომიკის მიზანია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება, რომელიც ეფუძნება ექსპორტისა და მსხვილი ინვესტიციების სტიმულირებას და მის მიღწევაში ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას.

ქვეყნის მოკლე და გრძელვადიანი ამოცანების რეალიზებისას, უნდა განხორციელდეს ისეთი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ერთდროულად უპასუხებს სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებს და იმავედროულად მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს მომავალი თაობებისათვის სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური გარემოს შენარჩუნებას. მდგრადი განვითარება რომელიც უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსათვის დამზოგავი. ეს სამი საყრდენი ვერ იქნება ეფექტური, თუ ისინი განიხილება, როგორც კონკურენტი პროგრამები.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, აქციზის გადასახადის გაზრდის გადაწყვეტილება, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებით აიხსნება. აღნიშნული გამოწვევებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშიშროებას თამბაქო წარმოადგენს. მას უარყოფითი გავლენა აქვს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასა და გარემოზე.

საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების თამბაქო აქციზით იბეგრება. საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, მთავრობამ საგადასახადო შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის მიზნით, გადასახადის წნეხის გათანაბრება გადაწყვიტა. შესაბამისად, შეირჩა ქონებისა და აქციზის გადასახადები, რადგან მათზე პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ეკონომიკური თავისუფლების აქტი არ ვრცელდებოდა. [1]

აქციზიდან საგადასახადო შემოსავლების მატებას აქციზის გაზრდილი განაკვეთები განაპირობებს, რომელმაც 2013 წლიდან დღემდე მრავალი ცვლილება განიცადა.

ცხრილი 1.

აქციზის განაკვეთები თამბაქოს ნაწარმზე

აქციზის ცვლილება თამბაქოს ნაწარმზე						
თამბაქოს პროდუქტები	დასაბეგრი ერთეული	2013	2014	2015	2016	2017
ფილტრიანი სიგარეტი	20 ლერი	0.75	0.75	0.9	1.1	1.7
უფილტრო სიგარეტი	20 ლერი	0.2	0.2	0.25	0.3	0.6
სიგარეტი	1 ლერი	0.9	0.9	0.9	1.3	1.9
სიგარელები	1 ლერი	1	1	1	1.5	2.2

თამბაქო	1 კგ	20	20	20	25	35
სალეჭი ან საყნოსი თამბაქო	1 კგ	20	20	20	25	35
დანარჩენი	1 კგ	20	20	20	25	35

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

როგორც ცხრილიდან ირკვევა 2013 წლიდან თამბაქოს პროდუქტებზე, როგორც ფილტრიან ისე უფილტრო სიგარეტზე აქციზის გადასახადი გაიზარდა და დასაბეგრი ბაზა გაფართოვდა. (20 ლერი) ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე აქციზი გაიზარდა 60 თეთრიდან 75 თეთრამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტზე აქციზის არსებული განაკვეთი - 15 თეთრიდან 20 თეთრამდე.

2015 წლის 1 ივლისიდან საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად თამბაქოს ნაწარმზე ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) ახალი სახეობის ადვალური გადასახადი დაწესდა. ერთი კოლოფი სიგარეტისთვის 5%-ით განისაზღვრა, თუმცა ერთ წელიწადში გაორმაგდა და 10%-ი შეადგენა.


2016 წლის 1-ლი იანვრიდან სააქციზო განაკვეთი ფილტრიან სიგარეტზე (20 ლერი) 0,20 ლარით გაიზარდა და 1,10 ლარი შეადგინა, ხოლო უფილტრო სიგარეტზე (20 ლერი) - 0,05 თეთრით და 0,30 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 5-დან 10%-მდე გაიზარდა პროპორციული განაკვეთი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის (20 ლერი) აქციზზე.

2017 წლის პირველი იანვრიდან აქციზი უფილტრო სიგარეტზე 30 თეთრით გაიზარდა, ხოლო ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრით და 1.7 ლარი შეადგინა. 60 თეთრით გაიზარდა აქციზი სიგარეტზე, ხოლო სიგარეტებზე აქციზის ზრდამ 70 თეთრი შეადგინა.

აქციზის გაზრდილი განაკვეთები განაპირობებს აქციზიდან საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

ნახაზი 1.

აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები (მლნ.ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქსტატის მონაცემები.

როგორც ნახაზიდან ირკვევა, აქციზის გადასახადით მიღებული შემოსავალი, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 381,2 მლნ. ლარით (74%-ით). აქედან, 2017 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, მხოლოდ თამბაქოს აქციზიდან 39 მლნ. ლარით მეტი შემოსავალი იქნა მოხილიზებული სახელმწიფო ბიუჯეტში.

ქვეყანაში გადასახადის გაზრდის მიზანი იყო თამბაქოზე კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, შედეგად ქვეყანაში მწველთა რაოდენობის შემცირება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. თუმცა, თუ გადავხედავთ რა შედეგები მივიღეთ აქციზის გადასახადის ზრდით დავრწმუნდებით, რომ თამბაქოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების იდეით განხორციელებულმა პოლიტიკამ სულ სხვა შედეგები მოიტანა.

ცხრილი 2.

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი თამბაქოს სასაქონლო პოზიციების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)

დასახელება	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ექსპორტი							
თამბაქოს ნედლეული; თამბაქოს ნარჩენები	0.3	174.6	-	16.0	15.7	27.2	178.9
სიგარეები, სიგარელები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელისაგან	8.4	5.1	96.2	1.623.9	7.150.2	10.391.6	42.328.8
სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	0.1	-	0.9	0.8	97.3	2.165.7	4.525.5
იმპორტი							
თამბაქოს ნედლეული; თამბაქოს ნარჩენები	5.195.7	5.933.6	5.790.3	2.801.4	2.551.7	1.626.2	4.321.0
სიგარეები, სიგარელები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელისაგან	86.742.7	90.577.0	95.718.1	115.474.2	103.585.3	102.143.2	102.564.2
სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	13.881.4	13.381.7	10.163.5	7.030.4	3.002.0	3.827.4	6.505.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მონაცემებიდან ჩანს, რომ აქციზის განაკვეთების ზრდის პარალელურად ქვეყანაში გაზრდილია წარმოებული და მოხმარებული თამბაქოს პროდუქცია. თამბაქოს ექსპორტ-იმპორტი სასაქონლო

პოზიციების მიხედვით მთელ ამ პერიოდზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ასევე, მაღალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება იმპორტირებული თამბაქოს წილი, რომელიც მნიშვნელოვნად მეტია ექსპორტზე.

ჩატარებული ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სიგარეტზე გადასახადების ზრდა ქვეყანაში მწვევლთა რაოდენობის შემცირებას არ იწვევს ან მინიმალურ ზეგავლენას ახდენს. სიგარეტი ფასის მიმართ არალერევანტური პროდუქტია და მისი გაძვირება, მოხმარების შემცირებას არ იწვევს, როგორც ეს სხვა პროდუქციის შემთხვევაში ხდება. მწვევლი, რომელსაც გაძვირებული სიგარეტის შეძენა ურთულდება, უფრო ცუდი ხარისხის თამბაქოს მოხმარებაზე გადადის. [3]

გამომდინარე აქედან, თამბაქოს კონტროლი არის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი საწინდარი იგი: შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს; გადაარჩენს ადამიანების სიცოცხლეს; გააძლიერებს ეკონომიკურ ზრდას; შეამცირებს სიღარიბეს; ხელს შეუწყობს თანასწორობას; გაზრდის შემოსავალს სახელმწიფოსთვის და დაიცავს გარემოს.

ჩვენი აზრით, საგადასახადო სისტემის სრულყოფისა და საგადასახადო შემოსავლების გაზრდის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებისას საჭიროა განისაზღვროს, თუ რამდენად ეფექტიანად შეიძლება გაიზარდოს გადასახადის განაკვეთები და შემოსავლები არსებული სისტემის პირობებში მოცემულ პროდუქციაზე, რადგანაც ანალიზიდან ჩანს, რომ აქციზის გაზრდა არ იწვევს მწვევლთა რაოდენობის შემცირებას.

თანამედროვე პირობებში საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს ადეკვატური გლობალური გამოწვევებისთვის და მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს იმპორტის ჩანაცვლების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს შიდა ინდუსტრიის ზრდის ხელსაყრელ პირობებს და გაზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას, რადგანაც, ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოება პირდაპირ დამოკიდებულია საგადასახადო რეგულირების სისტემის გადასახადებისა და მოქნილობის სტაბილურობასთან. საგადასახადო პოლიტიკის მეთოდებისა და ინსტრუმენტების შერჩევისას, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას ის ფაქტორები, რომელიც არ გამოიწვევს მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა კი, ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, ამ მიმართულებით კვლავ ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი. შესაძლებელი იქნება ერთიანი მძლავრი ეკონომიკური სისტემების შექმნა, რაც ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობას.

საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დაბეგვრის პრინციპების მკაცრად დაცვა. კერძოდ: გადასახადების გადამხდელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენა და გადასახადებით დაბეგვრის სისტემის რაციონალიზაცია. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ინვესტიციებს ახალი პროდუქციის შექმნაზე.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ექსპორტის ხელშეწყობისა და სტიმულირების პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დაჩქარებულ საშუალებად არის აღიარებული. საწარმოთა საექსპორტო საქმიანობის სტიმულირების სისტემა პრაქტიკულად გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც დამოკიდებულია ექსპორტის ხასიათსა და სტრუქტურაზე. ამდენად, სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტის წილის ზრდით.

ცხრილი 3.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2014-2017 წლებში (მლნ. აშშ. დოლარი)

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა				
წლები	2014	2015	2016	2017
საგარეო ვაჭრობა	11462.0	9505.0	9407.7	10674.7
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2861.0	2204.7	2112.9	2735.5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (GIF)	8601.8	7300.3	7294.0	7939.2
სალდო	-5740.8	-5095.6	-5181.1	-5203.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ 2014-2017 წლებში მუდმივი უარყოფითი სავაჭრო სალდო შეინიშნება. ბოლო წლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ 2014 წლის მონაცემებთან შედარებით ექსპორტი შემცირებულია, ეს შემცირება მიმდინარეობს ექსპორტში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების ფონზე და ექსპორტის რაოდენობრივი შემცირებაზე, რაც საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის დაქვეითებაზე მიგვანიშნებს.

რაც შეეხება საქართველოს ქვეყნების ჯგუფების მიხედვით საექსპორტო სტატისტიკას, 2017 წლის იანვრის მონაცემებით ქვეყნების ჯგუფების წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში ასე გამოიყურება. ევროკავშირის ქვეყნები -30% ; დსთ-ს ქვეყნები - 37% ; სხვა დანარჩენი - 33%;

ქართული ექსპორტის უმთავრეს პრობლემას საექსპორტო პროდუქციის მცირე რაოდენობა წარმოადგენს, რაც ქვეყნის ეკონომიკის დაბალ ინოვაციურობაზე მიანიშნებს. აღნიშნული საკითხი დადასტურებულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებით და ინდექსებით. ამიტომ საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ, იმ პროდუქციის ანალიზი, რომელიც იწარმოება შიგა ბაზრისთვის, მაგრამ არ ხდება მისი ექსპორტირება. [5]

მართალია, საქართველო ახორციელებს საექსპორტო საქმიანობას და მეტნაკლებად მიაღწია წარმატებას ახალი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვეყანას რეალურად სჭირდება წარმოებული საექსპორტო პროდუქციის გაფართოება. ამისათვის, კი საჭიროა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირება, რაც პირველ რიგში მოითხოვს ექსპორტის ზრდის ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის ძირითადი მიმართულებების განისაზღვრას, როგორიცაა: საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფართო პროფილის პროდუქციის ექსპორტზე გატანა.

ეკონომიკის მდგრად განვითარებაში ბიზნესის როლი განუსაზღვრელია და მის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს მიერ უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარება, მისი სწრაფად ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, წარმოადგენს ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებულ მიზნების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას.

ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით „სტრატეგია 2020“-ის მიერ გამოცხადებული პრიორიტეტებია: სავაჭრო ბარიერების მოხსნა, საერთო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება (მაგალითად, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ქსელის გაუმჯობესება) და საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა თანხვედრაში

უნდა იყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან, რაც მიიღწევა ფინანსური სისტემის გაუმჯობესებით, საგადასახადო და საბაჟო საქმიანობის გამარტივებით. [2]

ჩვენი აზრით, ექსპორტის განვითარების მიმართულებით, საჭიროა განხორციელდეს საექსპორტო პოტენციალის მქონე კომპანიების მხარდაჭერა. კერძოდ, ექსპორტიორთა პროდუქციის დაკრედიტება და დაზღვევა; ექსპორტიორების მიერ გაწეული რისკების დაზღვევა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შექმნილი სადაზღვევო ფონდის საშუალებით; საჭიროა საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ანალიზის ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებისათვის უნდა დაჩქარდეს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება; ჯანსაღი კონკურენციისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნა.

ისეთი მექანიზმების და საშუალებების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ გადასახადების, სესხების, ტარიფების, იმპორტის გადასახადების, სახელმწიფო მხარდაჭერისა და დახმარების მეთოდებს, აქტიურ ინვესტიციებს და ინოვაციურ საქმიანობას, საექსპორტო პროდუქციის წარმოების ზრდას, საწარმოთა მომგებიან საქმიანობას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნისა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. [7]

საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დაბეგვრის პრინციპების მკაცრად დაცვა. კერძოდ: გადასახადების გადამხდელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენა და გადასახადებით დაბეგვრის სისტემის რაციონალიზაცია. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ინვესტიციებს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აქციზის გადასახადის ზრდის სოციალური და ეკონომიკური ეფექტები., 2011. <http://www.tabula.ge/ge/story/54662-aqcizis-gadasaxadis-zrdis-socialuri-da-ekonomikuri-efeqtebi>
2. არევაძე ლ. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები., 2016. IDFL., <https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export>
3. ლომიძე თ. აქციზის ზრდის პარალელურად თამბაქოს მოხმარება იზრდება http://resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=30464
4. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2018-2021 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა. თბ., 2017.
5. ლაღანიძე გ., საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა., ეკონომიკა და ბიზნესი., ტომი VIII., N3 . 2015.
6. შაბურიშვილი დ., ექსპორტის სტიმულირების სტრატეგია, გამომცემლობა „ლოი“. 2009. თბ.
7. **Воронин В., Швец А., Сафонов И.**, Факторы устойчивого развития экономики предприятий., журн. «Российское предпринимательство» №10. 2009. <https://creativeconomy.ru/lib/5462>
8. საქსტატი <http://www.geostat.ge>

თეონა გრიგოლაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სპეციალური ღონისძიება, როგორც ტურიზმის ბიზნესის მნიშვნელოვანი ელემენტი

ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ადამიანები მოგზაურობენ და სხვა ქვეყნებს სტუმრობენ საქმიანი ვიზიტებით, დასასვენებლად და ახალი დანიშნულების ადგილების მოსანახულებლად. თანამედროვე პირობებში გამოიკვეთა ღონისძიებების როლი ტურიზმის ბიზნესის განვითარებაში. რაც ღონისძიებებზე მზარდი მოთხოვნით დასტურდება. ღონისძიება განიხილება, როგორც ატრაქცია დანიშნულების ადგილის მენეჯმენტში და ის მნიშვნელოვანი იმპულსია მოგზაურობისათვის.

ყოველდღიური რუტინა, მისი მუდმივი უარყოფითი შედეგები დაიძლევა სხვადასხვა სახის ღონისძიებებით. საზოგადოების უმეტესობისთვის ყველაზე უმნიშვნელო მიზეზიც კი აღნიშვნის ღირსი ხდება, თუმცა ტრადიციული დღესასწაულები ხშირად ტარდება მკაცრი რიტუალების დაცვით. ღონისძიებების დიდი ნაწილი, მნიშვნელობა არ აქვს რელიგიური იქნება, ტრადიციული თუ სხვა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტთა მოზიდვაში, რის შედეგადაც იზრდება ტურისტული შემოსავლები. თანამედროვე სამყაროში ღონისძიებებმა ყოველდღიური ხასიათი მიიღო. ღონისძიებების უმეტესობის მიზანია შექმნას სიმდიდრე ან ეკონომიკური ფასეულობა.

სპეციალური ღონისძიება არის არარუტინული საქმიანობა, რომელსაც აქვს გასართობი, კულტურული, პერსონალური ან ორგანიზაციული ხასიათი, ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების შესაცვლელად. მას შეიძლება ჰქონდეს საგანმანათლებლო, სადღესასწაულო, გასართობი, ან ადამიანთა შორის გამოცდილების გაცვლის მიზანი.

სპეციალური ღონისძიებების ბაზარი ძალიან ფრაგმენტული და დივერსიფიცირებულია, რის გამოც რთულია გაიგო და დაადგინო მისი მასშტაბები და მოცულობა. სპეციალური ღონისძიებების რაოდენობრივი განსაზღვრა შეიძლება ნამდვილი გამოწვევა იყოს მეცნიერთათვის. ღონისძიებების ჩატარების რაოდენობა, რომ იზრდება ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ეს ყველაფერი განპირობებულია სპეციალური ღონისძიებების განვითარებით, ღონისძიებების მენეჯმენტის ორგანიზაციების და მონათესავე მომსახურების წარმოშობით. ევროპაში გაიზარდა სიმდიდრე, მრავალწლიანი მშვიდობა ინდუსტრიულ ქვეყნებში აძლიერებს მოგზაურობისადმი მიდრეკილებას.

იმისათვის, რომ დაახლოებით მაინც მოხდეს ღონისძიების ბიზნესის მასშტაბების დადგენა, აუცილებელია დადგინდეს, ჰყავს თუ არა ღონისძიებას მონაწილეთა განსაზღვრული რაოდენობა. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში ღონისძიებების არეალის რაოდენობრივი განსაზღვრა. იმისათვის, რომ გავიგოთ სპეციალური ღონისძიებების ბაზარზე არსებული ინფორმაცია შემუშავებულ იქნა 5 ძირითადი მიმართულება, რომელთა შესახებაც ინფორმაცია, წარმოდგენას გვიქმნის არსებულ მდგომარეობაზე:


1. სტუმართა/ვიზიტორთა რიცხოვნობა;
2. სტუმართა გადახდისუნარიანობა;
3. სტუმართა ჩართულობა ღონისძიებაში;
4. რეკლამის ეფექტიანობა;
5. სტუმართა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება საშუალებას გვაძლევს ღონისძიებები დანახულ იქნას უფრო ფართო ჭრილში.

ვიზიტორთა რიცხოვნობის დასადგენად გამოვიყენეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე არსებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2017 წელს საქართველოს სტუმრობდა ტურისტთა ყველაზე დიდი ნაკადი აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან (იხ.ნახ.1)

ნახაზი 1

ტურისტთა გადანაწილება ქვეყნების მიხედვით (2017 წელი)




წყარო: www.geostat.ge

2016 წელს ტურისტულად საქართველოს ესტუმრა 3 297 278 ადამიანი, ხოლო 2017 წელს ეს რიცხვი შეადგენდა 4 069 354 ადამიანს აღნიშნული მაჩვენებელი 23%-იან ზრდაზე მეტყველებს. მიმდინარე 2018 წელს ტურისტთა რიცხვი თითქმის 17%-ით გაიზარდა, რის საფუძველზეც ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის მიმართ დაინტერესება მაღალია. (იხ. ნახ. 2)

ნახაზი 2

ტურისტთა დინამიკა 2017-2018 წლებში



წყარო: www.gnat.ge


ღონისძიებები იყოფა შემდეგ სახეებად:

- **მეგა ღონისძიებები**—რომლებიც უზარმაზარ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე და მნიშვნელოვანი გამოხმაურებები აქვს მსოფლიო მედიისაგან;
- **ღონისძიებები, რომელთაც თავისი ნიშა გააჩნიათ**— ასეთი ტიპის ღონისძიებები დამახასიათებელია კონკრეტული ქალაქის, რეგიონის ან ადგილისათვის. ღონისძიებები პირდაპირ ასოცირდება კონკრეტულ ადგილთან;
- **ძირითადი ღონისძიებები**—რომელთაც აქვთ საკმარისი გამოხმაურება მედიისაგან, და რომელთაც ჰყავთ ვიზიტორთა მნიშვნელოვანი რაოდენობა;
- **ადგილობრივი ღონისძიებები**—ღონისძიებები, რომლებიც ლოკალურად მცხოვრებთათვის არის განკუთვნილი. დაფუძნებულია ადგილობრივ სოციალურ ღირებულებებზე და მას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია ადგილობრივი საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტურისტთა ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, აღნიშნული ზრდა შესაბამისად ასახულია სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ვიზიტორთა რიცხებზეც (იხ. ნახ. 3.)

ნახაზი 3

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა 2014-2017 წწ



წყარო: www.geostat.ge

საქართველოში ღონისძიებების ბიზნესის განვითარებაში მცირე ძვრები შეინიშნება, 2016 წელს შეიქმნა პროექტი Check in Georgia, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ 2017 წელს ქვეყნის სხვადასხვა ლოკაციაზე 34 ღონისძიება ჩატარდა. თუმცა არ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები, ქვეყანაში სრულად რამდენი ღონისძიება ჩატარდა ან რამდენი ვიზიტორი ესწრებოდა კონკრეტულ ღონისძიებას და შესაბამისად კითხვაზე: რა წილი მოდის ღონისძიებების ბიზნესზე ტურისტულ შემოსავლებში, პასუხი ღია რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alen J., O Toole W., Harris R., McDonnell I: Festival and Special Event Management, John Wiley & Sons Australia 2005.
2. Getz D. Event studies theory, research and policy for planned events, Elsevier, New York. 2009
3. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/394/informatsia-sastumroebisa-da-sastumros-tipis-datsesebulebebis-sakmianobis-shesakheb>
4. <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/>
5. <https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/>
6. www.checkingeorgia.gov.ge
7. www.geostat.ge
8. www.gnta.ge

ელგუჯა დეისაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

სოფლის ტურიზმის როლი სოფლის მდგრადი
განვითარებისთვის

დღეს მსოფლიოში ბევრს საუბრობენ სოფლის ტურიზმზე, როგორც სოფლის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტზე, რომლის მეშვეობით განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის აღორძინების კვალდაკვალ შესაძლებელია სოფლად სიღარიბის დონის შემცირება, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და სოფლიდან ქალაქში მიგრაციული პროცესების შენელება, რასაც სოფლად ალტერნატიული შემოსავლების წყაროს გაჩენას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირებენ.

ამ კონცეფციას იზიარებს საქართველოს მთავრობაც. დოკუმენტში „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“ აღნიშნულია: „გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მასთან დაკავშირებული მრავალი სექტორის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ვაჭრობის, სატრანსპორტო მომსახურების, სხვადასხვა ტურისტულიმომსახურებების ზრდას, ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი (სოფლის, რეგიონის) განვითარებისთვის.“

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით მრავალი ღონისძიება და პროექტი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო რეგიონებში ტურიზმის განვითარებას. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2009 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა 320%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 6.3 მილიონს (2009 წ: 1.5 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ოდნავ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა 476 მილიონი აშშ დოლარიდან 2.16 მილიარდ აშშ დოლარამდე.

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ აღნიშნული პერიოდის მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა 317 აშშ დოლარიდან 348 აშშ დოლარამდე, რაც გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება (WTO-ის მიხედვით, 2015 წელს 1062 აშშ დოლარი). ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომადგენლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 83.6% მეზობელი ქვეყნებიდანაა და 81.5% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში. საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 16.8% სტუმრობს ქვეყანას. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ჩრდილოეთ, დასავლეთ და და სამხრეთ ევროპის რეგიონებიდან ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ საქართველოში მხოლოდ 2.6% შეადგინა. არადა, ისინი ყველაზე მომხიბვლელ ტურისტულ ბაზრებს წარმოადგენენ გადახდისუნარიანობისა და მოგზაურობის ინტენსივობის თვალსაზრისით.

სწორედ ამიტომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპად მიჩნეული იქნა **„ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა“**, რაც გულისხმობს ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე ორიენტირებას, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანს. აღნიშნული სტრატეგიის სხვა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპებია: კერძო სექტორის წამყვანი

როლი; სახელმწიფოს სრული ჩართულობა; მდგრადობა; საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე. ყველა ეს სახელმძღვანელო პრინციპი და 8 სტრატეგიული ამოცანა, რომლებიც, თავის მხრივ, 50 პრიორიტეტულ აქტივობად აქვს გაწერილი საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, ერთგვარი გზამკვლევი უნდა იყოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროთი, მათ შორის სოფლის ტურიზმით, დაინტერესებული მხარეებისთვის.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის ტურიზმი არ წარმოადგენს მარტივად იდენტიფიცირებად საბაზრო სეგმენტს. სოფლის ტურიზმი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც **„სოფლად ყოფნის გამოცდილება“**¹, რაც მოიცავს ღირსშესანიშნაობების და აქტივობების დიდ მრავალფეროვნებას, რომლებიც მხოლოდ სასოფლო ან არაუბრუნულ დასახლებებშია ხელმისაწვდომი. მისი საკვანძო მახასიათებლებია გაშლილი სივრცეები, ტურიზმის განვითარების შედარებით დაბალი დონე და ვიზიტორებისთვის სასოფლო-სამეურნეო და/ან ბუნებრივ გარემოსთან უშუალო შეხების შესაძლებლობა. ამდენად, სოფლის ტურიზმი მისი წმინდა ფორმით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- **საჭიროა ხორციელდებოდეს სოფლის ტიპის დასახლებებში;**
- **უნდა იყოს ფუნქციურად სასოფლო** - ეფუძნებოდეს სოფლის ტიპურ მახასიათებლებს, როგორიცაა მცირე-მასშტაბიანი წარმოება, გაშლილი სივრცეები, კონტაქტი ბუნებასთან, მემკვიდრეობა, ტრადიციული საზოგადოება და ტრადიციული საქმიანობები;
- **უნდა იყოს სასოფლო მასშტაბის** - როგორც შენობების, ისე დასახლებული პუნქტების თვალსაზრისით ანუ მცირემასშტაბიანი;
- **აუცილებელია ჰქონდეს ტრადიციული ხასიათი** - იზრდებოდეს ნელი ტემპით და ორგანულად და დაკავშირებული უნდა იყოს ადგილობრივ ოჯახებთან. მეტწილად უნდა კონტროლდებოდეს ლოკალურად და მიმართული უნდა იყოს დასახლების გრძელვადიანი კეთილდღეობისაკენ.

სოფლის ტურიზმი მისი ღირსშესანიშნაობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მოიცავს შემდეგ ტიპებს: (1) **მემკვიდრეობის ტურიზმს** (რომელსაც ზოგჯერ კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმაც უწოდებენ); (2) **ბუნებასთან დაკავშირებულ ტურიზმს / ეკოტურიზმს** და (3) **აგროტურიზმს**.

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას თავისუფალ დროს, რომლის ძირითადი მიზანია ისტორიული ადგილების მონახულება და წარსულთან დაკავშირებული აქტივობების გაცნობა.

ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმი / ეკოტურიზმი (ზოგჯერ მას მოიხსენიებენ, როგორც რეკრეაციულ ტურიზმს) გულისხმობს ბუნების დათვალიერებას, რომლის მიზანია პეიზაჟით, მ.შ. ველური მცენარეებითა და ცხოველებით, ტკბობა. იგი შეიძლება იყოს **პასიური**, სადაც დამკვირვებელი უბრალოდ ბუნებას აკვირდება, ან **აქტიური** (მზარდი პოპულარობით სარგებლობს ბოლო წლებში), რომლის დროსაც მონაწილეები ჩართული არიან ღია ცის ქვეშ სათავგადასავლო ტიპის აქტივობებში.

მესამე მთავარი ტიპი გახლავთ **აგროტურიზმი**, რომელიც აღნიშნავს მოქმედ ფერმაში ან ნებისმიერ მეურნეობაში, აგრობიზნესში სტუმრობას გართობის, სწავლის ან სამეურნეო

¹ **გამოცდილება** (ინგლ. Experience) - ეს კონცეფცია მეტად ფართო და აბსტრაქტულია. ვებსტერის განმარტებითი ლექსიკონი გამოცდილებას განსაზღვრავს როგორც რაიმე ისეთს, რაც პირადად თავს გადაგვხდა და რამაც ცხოვრებისეულად განგვაცდევინა. იგი ასევე გულისხმობს განსაკუთრებულ გრძნობა-შთაბეჭდილებებსა და დაუვიწყარ მოგონებებს, რასაც მოგზაურები სახლში დაბრუნებისას უზიარებენ სხვებს.

საქმიანობაში აქტიურად ჩართვის მიზნით. იგი მოიცავს ფერმერული საქმიანობის ფართო სპექტრს, მათ შორის ფერმერულ ბაზარს, ე.წ. საბავშვო (petting farm) ფერმას (სადაც ნებადართულია ცხოველებთან ურთიერთობა, მათი მოფერება და გამოკვება), გზისპირა დახლებს (სადაც ფერმერი თავად ყიდის პროდუქტს), ე.წ. „მოკრიფე თვითონ“ ტიპის ფერმებს (სადაც ტურისტი თვითონვე იღებს ხილის ან ბოსტნეულის მოსავალს), ღამის გათევას ფერმაში ან რანჩოში და სხვა ამგვარ ვიზიტებს; ასევე დასწრებას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ დღესასწაულებზე, ფესტივალებზე და სხვ.

როგორც ვხედავთ, სოფლის ტურიზმის ბაზარი მეტად ფრაგმენტირებულია. აქ არ არსებობს ერთადერთი, უნიკალური ან თუნდაც მრავლისმომცველი მოთხოვნის კონკრეტული მოდელი. სოფლის ტურიზმის მარკეტინგში არ არის საკმარისი მხოლოდ კარგი ტურისტული პროდუქტის ან რეკლამის ქონა: პირველ რიგში, უნდა მოხდეს ბაზრის **მიზნობრივი სეგმენტების** იდენტიფიცირება და კლიენტთა რეალური მოთხოვნილებების განსაზღვრა; ამასთან, მუდმივად უნდა ვაგროვებდეთ ინფორმაციას კლიენტების (სტუმრების), ბაზრის და კონკურენტების შესახებ და ვაანალიზებდეთ მარკეტინგული კვლევის შედეგებს; ხოლო მიმზიდველი საბაზრო სეგმენტების შერჩევის შემდეგ უნდა შეგვეძლოს ჩვენი შეთავაზებების (მატერიალური საქონლის და სერვისის) **პოზიციონირება** გარკვეული გლობალური იმიჯის, მაგალითად, ტურისტული **დესტინაციის** „ქოლგის“ ქვეშ.

იმისათვის, რომ საქართველოში წარმატებით განხორციელდეს სოფლის ტურიზმის კონცეფცია, ქვეყნის თითოეულ რეგიონში უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი კვლევები და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები:

პირველი ნაბიჯი - თითოეულ რეგიონში სოფლის ტურიზმისთვის სასარგებლო ტურისტული რესურსების (არსებულის და პოტენციურის) იდენტიფიცირება და კარტოგრაფირება. ეს მეტად შრომატევადი პროცესია: ინფორმაცია უნდა შეგროვდეს დაკვირვებებით და ინტერვიუებით ადგილობრივ მოსახლეობასთან, ტურისტებთან და სახელმწიფო მოხელეებთან. შეიძლება ითქვას, ეს სამუშაოები გარკვეულწილად ჩატარებულია და ასახულია საქართველოს რეგიონული განვითარების 2014-2021 წწ. სტრატეგიებში.

მეორე ნაბიჯი - თითოეულ რეგიონში სოფლის ტურიზმის პოტენციალის შეფასება. პოტენციალი შეიძლება შეფასდეს პოტენციური ტურისტების ინფორმირებით ფესტივალების და სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და სოფლის თემების და ჩამოსული სტუმრების ჩართულობით ამ აქტივობებში.

მესამე ნაბიჯი - პოტენციური ტურისტთა ინტერესის შესწავლა სხვადასხვა სოფლის ტურიზმის აქტივობებთან დაკავშირებით. მონაცემთა ანალიზმა შეიძლება აჩვენოს, რომ ეს ინტერესები (მოტივები) შეიძლება სხვადასხვა იყოს შიდა ტურიზმისა და შემომყვანი ტურიზმის (უცხოელი ტურისტები) შემთხვევებში.

მეოთხე ნაბიჯი - ადგილობრივი თემების ჩართულობა და სურვილი ტურისტებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სოფლის ტურიზმის სხვადასხვა აქტივობებში. ანალიზი გამოავლენს, თუ რამდენად დიდია ადგილობრივების მზაობა ამ კუთხით.

მეხუთე ნაბიჯი - კერძო სექტორის, სახელისუფლებო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლის და საქმიანობების შესწავლა კონკრეტული რეგიონის სოფლის ტურიზმის წინ წაწევის (პრომოუშენი) მიმართულებით. აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივი მარკეტინგის გამოყენების საჭიროებას ტურიზმის დარგის მიმწოდებლებს შორის; თანამედროვე

ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

მეექვსე ნაბიჯი - ცალკეულ რეგიონში საპილოტე პროექტების განხორციელებისას ტურისტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა (კვლევების ჩატარება).

მეშვიდე ნაბიჯი - სოფლის ტურიზმის **ზეგავლენის** შესწავლა თითოეულ რეგიონში. სასურველი მდგრადი შედეგების მისაღებად 3 სახის ზეგავლენა უნდა იქნას შესწავლილი: (1) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის ზეგავლენა, (2) სოციალ-კულტურული ზეგავლენა და (3) ეკოლოგიური (გარემოს დაცვა) ზეგავლენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზეგავლენა შეიძლება იყოს როგორც **დადებითი**, ასევე **უარყოფითი**. ასე მაგალითად, ავიღოთ **ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის ზეგავლენა**. ერთის მხრივ, სოფლის ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს სოფლებში, რაც დადებითი ეფექტია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბოსტნეულის, ხილის და სხვა ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ფასები იზრდება, რაც სასოფლო დასახლებებში სხვებისთვისაც გააძვირებს ფასებს. **სოციალ-კულტურული ზეგავლენა** გვიჩვენებს, თუ რამდენად იქნება სოფლის მაცხოვრებლები კმაყოფილი ტურისტთა ნაკადების მიღებით. დადებითი ზეგავლენა იმაში გამოიხატება, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივ თემებს მათი უნიკალურობის დაცვასა და სტიმულირებაში. აქ ადგილობრივებს ერთგვარი სიამაყის გრძნობა ეუფლება, რომ მათი რეგიონი ვითარდება სოფლის ტურიზმის მეშვეობით. უარყოფითი ზეგავლენა კი შეიძლება გამოვლინდეს ჭარბი ტურისტული ნაკადების (გამტარუნარიანობა) ან ტურისტების მხრიდან ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების ფაქტების სიმრავლის შემთხვევებში. **ეკოლოგიური ზემოქმედების** შესწავლამ შეიძლება გამოავლინოს, რომ ადგილობრივი თემები მეტად სენსიტიურები აღმოჩნდნენ გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ, უფრო „დარაზმულები“ გახდნენ ბუნებრივი რესურსების უკეთ მართვაში; თუმცა, ტურისტული ნაკადების გაზრდის შემთხვევაში უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო დაბინძურებისა და ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, რაც ერთგვარ უარყოფით ეფექტად უნდა მივიჩნიოთ.

ბოლოს, უნდა ითქვას ის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომელიც ყოველთვის არსებობს: სოფლის ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებლობა გაფანტულია კერძო სექტორის შიგნით სხვადასხვა დონეებზე, სახელმწიფო მმართველობის ყველა (ცენტრალ, რეგიონულ და ადგილობრივ) დონეზე, ასევე ზოგჯერ საერთაშორისო დონეზეც. სწორედ ყველა ამ ინსტიტუტის, დაინტერესებული მხარეების, კოორდინირებული თანამშრომლობითაა შესაძლებელი სოფლად მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. www.gnta.ge
2. „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“
3. Fundamentals of Rural Tourism [http://www1.agric.gov.ab.ca/\\$Department/deptdocs.nsf/all/csi13476/\\$FILE/Rural-Tourism.pdf](http://www1.agric.gov.ab.ca/$Department/deptdocs.nsf/all/csi13476/$FILE/Rural-Tourism.pdf) Božo Mihailovic, Ilija Moric. “The Role OF Marketing Philosophy In Rural Tourism Development” <https://www.ftm.uniri.hr/files/Casopis/Vol18No2/7%20Mihailovic%20Moric.pdf>
4. Tourism Planning in Rural Areas and Organization Possibilities <https://www.intechopen.com/books/landscape-planning/tourism-planning-in-rural-areas-and-organization-possibilities>

ლია ელიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

საბანკო ზედამხედველობის მოდელების ძირითადი თავისებურებები გლობალიზებულ მსოფლიოში

საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ძირითადი მიზნებია საბანკო სექტორის სტაბილურობის მხარდაჭერა და მეანაბრეებისა და კრედიტორების ინტერესების დაცვა. მიუხედავად ამისა, ისტორიულად საბანკო ზედამხედველობა მეტწილ შემთხვევაში სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფდა თავისი მიზნების რეალიზებას, რაც განპირობებული იყო მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით. საბანკო ზედამხედველობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გახშირებულმა საბანკო კრიზისებმა საბანკო ზედამხედველობის ორგანოები დააყენა მათი საზედამხედველო პოლიტიკის ცვლილების აუცილებლობის წინაშე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საბანკო კრიზისები იყო საკმაოდ იშვიათი მოვლენა. მათი დადგომის სიხშირე მკვეთრად გაიზარდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც, სხვადასხვა შეფასებით, დაახლოებით 150-ზე მეტ ქვეყანაში პერიოდულად ვითარდებოდა საბანკო კრიზისები. ფაქტობრივად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების 3/4-მა განსხვავებული ფორმითა და სიმწვავეთ განიცადა საბანკო კრიზისი, რომელიც როგორც ლოკალურ, ასევე სისტემურ ხასიათს ატარებდა და მათმა შედეგებმა ნეგატიური კვალი დაამჩნია როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

გახშირებული საბანკო კრიზისების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შემოღება, განსაკუთრებით ეს ეხება ფინანსური წარმოებულების, ანუ ე.წ. დერივატივების წარმოშობას და მათ საკმაოდ ფართოდ გავრცელებას. გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდად ბანკების გარესაბალანსო ანგარიშებზე ასახული ოპერაციებისა და გარიგებების მოცულობა იყო უმნიშვნელო. ფინანსური წარმოებულების გავრცელების შედეგად მოხდა საფინანსო მომსახურების დივერსიფიცირება, რაც დაკავშირებული იყო ახალი საბანკო პროდუქტების წინააღმდეგობასთან.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა საბანკო კრიზისების დადგომის სიხშირის ზრდა, იყო უახლესი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და გავრცელება საბანკო ბიზნესში, საბანკო საქმიანობის კომპიუტერიზაცია და ანგარიშსწორებების ონლაინ ფორმების გავრცელება, რაც იძლევა საშუალებას დიდი ოდენობის ფინანსური სახსრები მყისიერად იქნას გადარიცხული დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

საბანკო კრიზისების გახშირების მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო სისტემების მოწყვლადობის ზრდა გარე შოკების მიმართ. ეს განპირობებული იყო კაპიტალის მოძრაობის დაჩქარებული ლიბერალიზაციით, საბანკო სექტორისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი პროტექციონიზმის შესუსტებით.

ასეთ პირობებში ბანკებმა დაიწყეს გაუმართლებლად დიდი რისკების აღება, რაც ყოველთვის ჯეროვნად ვერ კონტროლდებოდა და ვერ გაითვალისწინებოდა საბანკო საზედამხედველო ორგანოების მიერ. ამ უკანასკნელთა ქმედებები ასეთ ვითარებაში ყოველთვის არ იყო ადეკვატური და, ხშირ შემთხვევაში, იყო დაგვიანებულიც კი. საბანკო სექტორის სისტემური სტაბილურობის საფრთხეების თავიდან აცილების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ისეთი

საერთაშორისო ორგანოს შექმნის იდეა, რომლის ამოცანა იქნებოდა საბანკო საზედამხედველო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

შედეგად, 1974 წელს შეიქმნა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, რითაც დღის წესრიგში დადგა საბანკო ზედამხედველობის კონცეპტუალური მიდგომების გადასინჯვის აუცილებლობა. თუმცა, ამ ახალი მიდგომების პრაქტიკული რეალიზება განხორციელდა მხოლოდ 1988 წელს, როდესაც ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა ფუძემდებლური დოკუმენტი “შეთანხმება კაპიტალის შესახებ”, რომელიც ცნობილია როგორც ბაზელი I. მართალია, ეს უკანასკნელი იყო წინგადადგმული ნაბიჯი საბანკო ზედამხედველობაში, თუმცა იგი მაინც მეტწილად ძველ საზედამხედველო პრინციპებს ეყრდნობოდა.

საბანკო საქმიანობის რისკების ზრდა ყოველთვის ვერ ფასდებოდა ადეკვატურად საბანკო ზედამხედველი ორგანოების მიერ. ფინანსური ინოვაციები, ვალუტების გაცვლითი კურსების მარვალფეროვნება, ბანკების შერწყმა და შთანთქმა, ანგარიშსწორებების უახლესი ტექნოლოგიები და სხვა სახის პროცესები მკაფიოდ აისახებოდა საბანკო საქმიანობის ბიზნეს-პროცესებზე. პრაქტიკულად, საბანკო ბიზნესი და მისი თანმხლები რისკები ვითარდებოდნენ უფრო სწრაფად, ვიდრე მათზე სახელმწიფო ზედამხედველობა. ამ გარემოებამ განაპირობა ისეთი უკონტროლო და უმართავი პროცესების განვითარება, რომლებსაც მოჰყვებოდა სხვადასხვა სიძლიერისა და მასშტაბის საბანკო კრიზისები როგორც განვითარებად, ასევე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში.

დღეს მსოფლიოში ჩამოყალიბდა ცხადი გაგება იმისა, რომ საბანკო სისტემის გამართული და სტაბილური ფუნქციონირება გულისხმობს როგორც საზედამხედველო მარეგულირებელი ორგანოების ეფექტიან ზედამხედველობასა და კონტროლს, ასევე ბანკის მაღალპროფესიულ მართვასა და საბაზრო დისციპლინის დაცვას. საბანკო კრიზისების წარმოქმნისა და დამლევის პრაქტიკამ ცხადად აჩვენა, რომ არა მარტო მარეგულირებელი ორგანოები უნდა უზიძვებდნენ ბანკებს გაატარონ შეწონილი პოლიტიკა, არამედ ამისკენ უნდა უზიძვებდნენ ჯანსაღი კონკურენცია და მკაცრი საბაზრო დისციპლინა.

სწორედ ამ თვისებრივად ახალმა მიდგომებმა განაპირობეს ბაზელის კომიტეტის მიერ ახალი ფუძემდებლური დოკუმენტის შექმნა, რომელსაც ეწოდება “ახალი შეთანხმება კაპიტალის შესახებ”, ანუ “ბაზელი II”. ეს იყო საბანკო ზედამხედველობის ახალი პარადიგმის შექმნის დასაწყისი, რომელიც გულისხმობს ბანკების მიერ რაოდენობრივი ნორმატივების არა მარტო ფორმალურ დაცვას, არამედ გადასვლას რისკებზე ორიენტირებულ საბანკო ზედამხედველობაზე.

2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის გამოცდილებაზე დაყრდნობით ბაზელის კომიტეტის მიერ გადაიხედა ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები, შეიქმნა მოთხოვნათა ახალი სისტემა და მას დაერქვა “ბაზელი III”. ეს მოთხოვნები მეტწილად შეეხება სისტემაწარმომქმნელ საფინანსო ინსტიტუტებს და ითვალისწინებს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამკაცრებასა და ლიკვიდურობის ახალი ნორმატივების შემოღებას. “ბაზელი III”-ის მთავარი მიზანია საბანკო საქმიანობაში რისკების მართვის ხარისხის ზრდა საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამრიგად, საბანკო საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს. საბანკო ზედამხედველობის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია ბანკების სოციალური მნიშვნელობითა და მათი პასუხისმგებლობით საზოგადოების წინაშე. საბანკო საქმიანობის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს კლიენტისა და მეანაბრის ნდობა ბანკის მესაკუთრეებისა და მენეჯერების მიმართ. როდესაც ეს ნდობა განიცდის კრიზისს, მეანაბრეები უკან ითხოვენ

თავიანთ ფულად სახსრებს ბანკებიდან, რაც არა მარტო აკოტრებს მათ, არამედ იწვევს ფულადი სფეროს დეზორგანიზაციას, ეკონომიკურ ქაოსსა და სოციალური დამაბულობის ზრდას. სწორედ ეს არის ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც ბანკები სპეციალურად შექმნილი საზედამხედველო ორგანოების მიერ ტრადიციულად კონტროლდებიან.

საბანკო ზედამხედველობის ურთულესი ამოცანების გადასაწყვეტად ყველა ქვეყანაში შექმნილია საბანკო ზედამხედველობის სამსახურები, რომლებიც ორგანიზაციული და ფუნქციური თვალსაზრისით გამოირჩევიან საკმაოდ მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით. ამ სამსახურების ორგანიზაციული მოწყობა დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სახის პირობებზე.

იმის და მიუხედავად, თუ როგორი მოდელია შეირჩეოდა საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის განსახორციელებლად, მისი მიზნები და ამოცანები პრაქტიკულად არ განიცდიდა რადიკულურ ცვლილებებს დროთა განმავლობაში. თუმცა, მხედველობაშია მისაღები საბანკო ზედამხედველობის მიზნების განსხვავებული ფორმულირება სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად:

- ფულადი და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა და აუცილებლობის შემთხვევაში ღონისძიებების გატარება ბანკების გაჯანსაღებისა და მისი სანაციისათვის;
- საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა კაპიტალისა და აქტივების ხარისხის მიმართ მოთხოვნების დაწესების გზით. ასეთ შემთხვევაში საბანკო ზედამხედველობა მოიცავს აგრეთვე შიდა კონტროლის, რისკების მართვის ხარისხის, შიდა საბანკო ოპერაციებისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასებას;
- მეანაბრეთა ინტერესების დაცვა. ამ მიზნით ბანკებზე ზედამხედველობის გამკაცრება, განსაკუთრებით იმათზე, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს მეანაბრეების მიმართ.

საბანკო ზედამხედველობის კლასიკური ვარიანტი მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციის ლიცენზირებას და მისი სტრუქტურის შეცვლის შეთანხმებას, საკრედიტო დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას. განვითარებადი ქვეყნებისათვის ასევე დამახასიათებელია საკრედიტო დაწესებულებების ფინანსური გაჯანსაღებისა და ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების ლიკვიდაციის პროცესის კონტროლი.

საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების კონკრეტული მოდელის არჩევა განპირობებულია ქვეყნის სპეციფიკით. მაგრამ, ზედამხედველობის რა სახის მოდელი არ უნდა იქნას არჩეული, მისი ძირითადი მიზანი ყოველთვის არის საზედამხედველო პროცედურების ეფექტიანობის ამაღლება და ოპტიმალურობის უზრუნველყოფა. ამიტომაც, ზედამხედველობის ფორმები არაა მუდმივი და იგი ყველა ქვეყანაში დროთა განმავლობაში იცვლება. საბანკო ზედამხედველობის ფორმების მრავალვარიანტულობა არ იძლევა შესაძლებლობას მისი სახეები მკაცრად იქნას ფორმალიზებული, თუმცა, შესაძლებელია პირობითად გამოიყოს საბანკო ზედამხედველობის სისტემის ოთხი ძირითადი მოდელი.

პირველი, ცენტრალური ბანკების მოდელი, რომელიც გულისხმობს ცენტრალური ბანკების ექსკლუზიურ უფლებას საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სფეროში. ისტორიულად ეს მოდელი იყო დანერგილი თითქმის ყველა ქვეყანაში. თუმცა, დღეისათვის ამ მოდელმა დაკარგა დომინირებული მდგომარეობა, მაგრამ ჯერ კიდევ მოთხოვნადია ბევრ არა მარტო განვითარებად, არამედ მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, ესპანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია. გარკვეული დაშვებებით ამ ქვეყანათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ იტალია და ჰოლანდია.

მეორე, შერეული მოდელი, რომელიც გულისხმობს საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების ფუნქციების შესრულებას სპეციალიზირებული ორგანოების მიერ

ცენტრალური ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს უშუალო მონაწილეობით. ასეთი მოდელის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ს საბანკო ზედამხედველობის სისტემა, რომელიც სხვა ქვეყნებისაგან განსხვავდება საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურით.

აშშ კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტების სტატუსი შეიძლება იყოს ფედერალური, ანუ იგივე საერთოეროვნული, ან სამტატო. მათზე ზედამხედველობას ახორციელებს სამი ორგანო: ფედერალური სარეზერვო სისტემა; დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია, რომელიც აზღვევს დეპოზიტებს ბანკებსა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტებში; ფულის მიმოქცევის მაკონტროლებელი სამმართველო, რომელიც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს ბიუროს და ახორციელებს ზედამხედველობას ფედერალურ ბანკებზე.

ჩამოთვლილ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არსებობს შეთანხმება სამუშაოთა დუბლირების გამორიცხვის შესახებ. სხვა დანარჩენ ბანკებზე ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისი შტატების საზედამხედველო ორგანოები და ფედერალური დონის სხვა მაკონტროლებელი ორგანოები.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით აშშ-ში შემნახველი ბანკებისა და საკრედიტო კავშირების ზედამხედველობას ახორციელებენ დამატებით კიდევ სხვა ორგანოები: შემნახველი დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო და საკრედიტო კავშირების ეროვნული სამმართველო.

შერეული მოდელი გამოიყენება ასევე საფრანგეთში, სადაც ცენტრალური ბანკი არაგამჭვირვალე ფორმით თამაშობს მნიშვნელოვან როლს საკრედიტო დაწესებულებების ზედამხედველობის საქმეში. საფრანგეთის ცენტრალური ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს გარდა ბანკებზე ზედამხედველობას ახორციელებს კიდევ ოთხი სტრუქტურა, რომლებსაც გააჩნიათ ფართო მაკონტროლებელი ფუნქციები:

1. ეროვნული საკრედიტო საბჭო, რომელიც ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციებს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პირობების განსაზღვრისას და მონაწილეობს საკრედიტო-საფინანსო სფეროს შესახებ კანონპროექტების შემუშავებაში;

2. საბანკო რეგულირების კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი. მისი მოადგილე იმავდროულად არის საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მმართველი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან თითო წარმომადგენელი საბანკო ასოციაციიდან და პროფკავშირებიდან, ასევე ორი მოწვეული სპეციალისტი. კომიტეტი ადგენს ბანკების საქმიანობის წესებსა და ნორმებს. მისი გადაწყვეტილებები ფორმდება ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს დადგენილებების სახით;

3. საკრედიტო დაწესებულებების კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მმართველი. მასში შედიან საფრანგეთის ხაზინის დირექტორი და ბანკების წარმომადგენლები. კომიტეტი იძლევა ნებართვებს საბანკო საქმიანობაზე, ბანკის სტატუსის ცვლილებაზე, საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე, აფასებს მმართველების პროფესიულ დონეს, იღებს გადაწყვეტილებებს საბანკო კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

4. საბანკო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის ცენტრალური ბანკის მმართველი. საბანკო კომისია აკონტროლებს ბანკების ყოველდღიურ საქმიანობას, ღებულობს ბანკების შესახებ ანგარიშგებებს, რომელთა საფუძველზე გეგმავს საინსპექციო შემოწმებებს, კონსულტაციებს ბანკის ხელმძღვანელობასთან. ასეთი შემოწმებების შედეგად ფასდება ბანკის ფინანსური მდგომარეობა, შემუშავდება რეკომენდაციები ბანკის შიდა კონტროლისა და რისკების მართვის გაუმჯობესების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო კომისია არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, იგი უფლებამოსილია ბანკის ფინანსური მდგომარეობის

სერიოზული პრობლემების არსებობისას დანიშნოს მისი ლიკვიდატორი გაკოტრების შესახებ სასამართლო საქმის დაწყებამდე.

საბანკო ზედამხედველობის შერეული მოდელი დამახასიათებელია იტალიისათვის და ნიდერლანდებისათვის. ამ ქვეყნებში ზედამხედველობა ხორციელდება ორი მიმართულებით: საკრედიტო დაწესებულებების ფინანსური მდგრალობის უზრუნველყოფა და საბანკო ბიზნესის წარმართვის კორექტულობის უზრუნველყოფა. მაგალითად, ნიდერლანდებში პირველ მიმართულებას კურიერებს ცენტრალური ბანკი, ხოლო მეორეს – საფინანსო ბაზრების ზედამხედველობის სააგენტო.

მესამე მოდელია საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი სპეციალური ორგანო, რომელიც მჭიდროდ ურთიერთობს ფინანსთა სამინისტროსთან და გარკვეულწილად ცენტრალურ ბანკთან. ზედამხედველობის ასეთი მოდელი დამახასიათებელია კანადისათვის, სადაც ცენტრალური ბანკის როლი საბანკო ზედამხედველობაში არის შეზღუდული. ადრეულ პერიოდებში საბანკო ზედამხედველობის მსგავსი პრაქტიკა გააჩნდა ავსტრიასა და გერმანიას.

მეოთხე მოდელია საფინანსო ბაზრების მეგარეგულატორის მოდელი, სადაც საბანკო ზედამხედველობა სრულიად არის გამიჯნული ცენტრალური ბანკებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს სინგაპური და რუსეთი, სადაც მეგარეგულატორის ფუნქცია აკისრია ცენტრალურ ბანკებს, და გარკვეულწილად ირლანდია, სადაც მეგარეგულატორი შექმნილია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი ქვედანაყოფის სახით.

2012 წლამდე ევროკავშირის ქვეყნებში არსებობდა საბანკო ზედამხედველობის ოთხი ძირითადი მოდელი:

1. ტრადიციული სექტორალური მოდელი, როდესაც საბანკო საქმიანობას არეგულირებს მხოლოდ ერთი ორგანო – როგორც წესი, ცენტრალური ბანკი, ხოლო სხვა საფინანსო სექტორებს (საფონდო, სადაზღვევო, სალიზინგო და სხვ.) რეგულირდება შესაბამისი ორგანოების მიერ. ასეთი მოდელი გამოიყენებოდა, მაგალითად, საბერძნეთში.

2. ფუნქციონალური მოდელით საბანკო სექტორი რეგულირდება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოთი, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია თავის მიმართულებაზე. ასეთი მოდელი გამოიყენება საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში და სხვ.

3. კომპლექსური მოდელით, ანუ მეგარეგულატორის მოდელით, საბანკო სექტორისა და სხვა საფინანსო დაწესებულებების საქმიანობა რეგულირდება ერთი დაწესებულებით. გამოიყენება ლატვიაში, შვეიცარიაში, სლოვაკეთსა და სხვ. მეგარეგულატორი შეიძლება იყოს ცენტრალური ბანკი ან სპეციალურად შექმნილი საზედამხედველო ორგანო.

4. ჯვარედინი რეგულირებით ბანკების საქმიანობა რეგულირდება ორი ორგანოს მიერ. ერთი პასუხისმგებელია საბანკო სისტემის საქმიანობის უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე, ხოლო მეორე – კონკურენციის წესებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე. ეს მოდელი გამოიყენება ნიდერლანდებში და ნაწილობრივ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში.

2012 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საბანკო ზედამხედველობის მოდელების ცვლილება განპირობებული იყო ევროპული საბანკო კავშირის შექმნით, რომლითაც საბანკო საზედამხედველო პოლიტიკის გატარება ცალკეული ქვეყნების დონიდან გადავიდა ევროკავშირისა და ევროპული ცენტრალური ბანკის დონეზე.

ევროპული საბანკო კავშირის შექმნის მიზეზები იყო ევროზონის კრიზისი, საბანკო ზედამხედველობის ორგანოების სტიმულების შეუსაბამობა, ცენტრალური ბანკების მცდელობები თავისი ქვეყნის ბანკებისათვის მიენიჭებინათ კონკურენტული უპირატესობა, რაც გამოიხატებოდა პრუდენციული მოთხოვნების შემცირებასა და რისკების ზრდაში, შეუსაბამობა ზედამხედველობის ეროვნულ მასშტაბებსა და საფინანსო სისტემის აღქმის

ევროპულ პოლიტიკას შორის, ცენტრალური ბანკების მიერ თავის საბანკო სისტემაში სუსტი ბანკების გამოვლენის ნაკლები სურვილი იმის შიშით, რომ სუსტი ბანკები აღმოჩნდებიან არასასურველ კონკურენტულ პოზიციებზე მეზობელი ქვეყნების ბანკებთან შედარებით.

საბანკო კავშირის შექმნის იდეა არ არის ახალი. იგი ჩადებული იყო ჯერ კიდევ მაასტრიხტის ხელშეკრულებაში, სადაც იგი განიხილებოდა როგორც სავალუტო კავშირის შექმნის საკვანძო ელემენტი. იდეა ეფუძნებოდა ლოგიკურ დასკვნას იმის შესახებ, რომ ერთიანი ვალუტის შემოღება ხელს შეუწყობდა ევროპის ქვეყნების ერთმანეთთან ფინანსური დამოკიდებულების წარმოქმნას, რის გამოც აუცილებელი იქნება საბანკო ზედამხედველობის ერთიანი სისტემის შექმნა. თუმცა, ევროკავშირის შექმნის ხელშეკრულებამ ევროპულ ცენტრალურ ბანკს, ფაქტობრივად, ასეთი ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა წაართვა.

2010-2011 წლებში საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის საბანკო სისტემებში შეინიშნებოდა კრიზისული მოვლენები. ამავე პერიოდში მოხდა ცვლილებები ევროპული ცენტრალური ბანკის როგორც განსაკუთრებული დაწესებულების კანონმდებლობაში. ფაქტობრივად ევროპული ცენტრალური ბანკი იმყოფებოდა ბუნდესბანკის მხარდაჭერის ქვეშ. თუმცა, ევროზონაში კრიზისული მოვლენების შემდგომ ევროპული ცენტრალური ბანკი იძულებული გახდა გაეწყვიტა ურთიერთობები გერმანიის ცენტრალურ ბანკთან და მან მიიღო დამოუკიდებელი დაწესებულების სტატუსი. ამ მოვლენების შედეგად 2012 წლის ივნისში დაიწყო ევროპული საბანკო კავშირის შექმნის პროცესი, რომელიც გულისხმობდა ევროზონის საბანკო სექტორის ძირითად ნაწილზე ზედამხედველობის უფლებამოსილების გადაცემას ევროპული ცენტრალური ბანკისათვის.

შედეგად, შეიქმნა ერთიანი საზედამხედველო მექანიზმი (SSM), რომელიც წარმოადგენს ევროპის საბანკო ზედამხედველობის ერთიან სისტემას. იგი შედგება ევროპული ცენტრალური ბანკისაგან და მონაწილე ქვეყნების ეროვნული საზედამხედველო ორგანოებისაგან. ერთიანი საზედამხედველო მექანიზმის ძირითადი მიზნებია: ევროპული საბანკო სისტემის უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა; ფინანსური ინტეგრაციისა და სტაბილურობის დონის ზრდა; შეთანხმებული ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

როგორც ევროკავშირის დამოუკიდებელი დაწესებულება, ევროპული ცენტრალური ბანკი ახორციელებს ზედამხედველობას შემდეგ მიმართულებებზე: ადგენს ერთიან მიდგომებს მიმდინარე ზედამხედველობისათვის; ახორციელებს შეთანხმებულ საზედამხედველო ღონისძიებებსა და მაკორექტირებელ ზომებს; უზრუნველყოფს ზედამხედველობის სფეროში არსებული წესებისა და პოლიტიკის თანმიმდევრულ გამოყენებას. ყველა ეს ზომა ხელს უწყობს აღდგენილ იქნას ნდობა ევროპის საბანკო სექტორის მიმართ.

განხორციელებული ზედამხედველობა ატარებს პირდაპირ და ირიბ ხასიათს. პირდაპირი ზედამხედველობა ხორციელდება ევროზონის 200-მდე სისტემაწარმომქმნელ ბანკზე. ეს ბანკები ფლობენ ევროზონის საბანკო აქტივების დაახლოებით 82 პროცენტს. სისტემაწარმომქმნელ ბანკად მიჩნევის კრიტერიუმებია: აქტივების მოცულობა აღემატება 30 მლრდ. ევროს; ეკონომიკური მნიშვნელობა კონკრეტული ქვეყნისათვის; პირდაპირი სახელმწიფო ფინანსური დახმარება, რაც გულისხმობს იმას, ითხოვდა თუ არა ბანკი ფინანსურ მხარდაჭერას ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდიდან ან ევროპული მასშტაბილიზებული მექანიზმიდან.

აღნიშნული ბანკების რეალური მდგომარეობის შეფასებისათვის ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა ჩაატარა კომპლექსური შემოწმება, რომელიც დაიწყო 2013 წელს და დასრულდა 2014 წელს. შემოწმებულ იქნა აქტივების ხარისხი, ბალანსები, ძირითადი რისკები, რომლებსაც იღებენ ბანკები. შეფასებამ დაადგინა 25 ბანკში კაპიტალის ნაკლებობა 25 მლრდ. ევროს ოდენობით. 2014 წელს ამ ბანკებიდან 12-მა სწრაფად დაფარა დეფიციტი 15 მლრდ. ევროს ოდენობით, დანარჩენებისათვის შემუშავდა კაპიტალიზაციის შევსების პროგრამები.

არასისტემაწარმომქმნელი ბანკები ჯერ კიდევ იმყოფებიან მათი ეროვნული საზედამხედველო ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროპულ ცენტრალურ ბანკთან. ნებისმიერ დროს ევროპულ ცენტრალურ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განახორციელოს ზედამხედველობა ნებისმიერ ბანკზე უშუალოდ, ზედამხედველობის ერთიანი მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

ამგვარად, ევროკავშირის ქვეყნებში ჩამოყალიბდა საბანკო ზედამხედველობის ახალი მოდელი, რომელიც გულისხმობს სისტემაწარმომქმნელ ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქციის გადაცემას ეროვნული დონიდან ზეეროვნულ დონეზე. თუმცა, ზედამხედველობის სისტემის ფორმირების პროცესი ჯერ-ჯერობით იმყოფება საწყის სტადიაზე, ამიტომაც ფინანსურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ პერსპექტივებზე მისი გავლენის შეფასება დღეისათვის საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

ცენტრალური ბანკიდან საბანკო საზედამხედველო სამსახურის გამოყოფის მიზანშეწონილობის მოკლე გამარტივებული SWOT ანალიზის ჩატარებისას იკვეთება შემდეგი არგუმენტები და კონტრარგუმენტები.

ცენტრალური ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფის წინააღმდეგ არგუმენტები შემდეგია: ცენტრალურ ბანკებში კვალიფიციური სპეციალისტებისა და ძლიერი საინფორმაციო ბაზის არსებობა, რომელიც აუცილებელია როგორც საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისათვის, ასევე მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის; საზედამხედველო ქვედანაყოფებსა და მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელ ქვედანაყოფებს შორის ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა; კონცენტრირება საბანკო სექტორის სისტემურ მდგრადობაზე; ცენტრალური ბანკის ინსტიტუციური, მარეგულირებელი და საბიუჯეტო დამოუკიდებლობა იცავს საბანკო ზედამხედველობას პოლიტიკური ლობირებისაგან და ხდის მას უფრო ეფექტიანს.

ცენტრალური ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფის მიზანშეწონილობა ნაკარნახევია შემდეგი ძირითადი არგუმენტებით: ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი მონეტარული პოლიტიკის მიზნებსა და საბანკო ზედამხედველობის მიზნებს შორის; სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებს შორის საზღვრების წაშლა და სპეციალიზირებული საზედამხედველო ორგანოების არსებობის მიზანშეუწონლობა; ცენტრალური ბანკის ხელში უფლებამოსილების ჭარბი კონცენტრაცია; ცენტრალური ბანკის პოლიტიკა და მარტიული მიმხრობა.

გამოყოფის მომხრეებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია თეზისი იმის შესახებ, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ცენტრალური ბანკის მონეტარული მიზნების მიღწევასა და საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას შორის. ამ კონფლიქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს მონეტარული პოლიტიკის მიზნებთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფლაციის შემცირება მოითხოვს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, რაც ნეგატიურად აისახება ბანკების მდგრადობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ქვეყანაში, სადაც ცენტრალური ბანკი ასრულებს საზედამხედველო ფუნქციებს, ინფლაციის მაჩვენებელი გარკვეულწილად უარესდება. მიუხედავად ამისა, ინტერესთა კონფლიქტის არსებობა მაინც საკამათო საკითხია, ვინაიდან არ იკვეთება ამ კონფლიქტის არსებობის მკაფიო დამადასტურებელი გარემოებები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს თეორიული დაშვება ასეთი კონფლიქტის არსებობის შესახებ.

გამოყოფის მომხრეების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი მდგომარეობს ცენტრალური ბანკების ხელში ჭარბი ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციაში. სწორედ ეს მოსაზრება საფუძვლად ედო მრავალ ქვეყანაში ცენტრალური ბანკებიდან საზედამხედველო ფუნქციების

გამოყოფას და მათ ფაქტობრივ გამიჯვნას მაკროეკონომიკური ფუნქციებისაგან. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის აუცილებლობა მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის ეჭვის ქვეშ პრაქტიკულად არ დაყენებულა, თუმცა ასეთი დამოუკიდებლობა წარმოშობს რისკებს, დაკავშირებულს ფართო უფლებების მქონე ცენტრალური ბანკების დემოკრატიულობასთან, მცდარი გადაწყვეტილებების მიღებასა და ძალაუფლების ზედმეტ კონცენტრაციასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barth J.R., Caprio G. Jr., Levine R. (2013) Bank Regulation and Supervision in 189 Countries from 1999 to 2011. Available at: http://faculty.haas.berkeley.edu/ross_levine/Papers/Bank_Regulation_and_Supervision_Around_the_World_15JAN2013.pdf
2. Core Principles for Effective Banking Supervision, Basel Committee on Banking Supervision, Bank For International Settlements, September 2012. Available at: <http://www.bis.org/publ/bcbs230.pdf>
3. James R. Barth & Gerard Caprio, Jr. & Ross Levine, 2002. "Bank Regulation and Supervision: What Works Best?," NBER Working Papers 9323, National Bureau of Economic Research, Inc. <https://ideas.repec.org/p/nbr/nberwo/9323.html>
4. James R. Barth, Gerard Caprio, Jr., Ross Levine, Bank Regulation and Supervision, January 2013.
5. SSM Supervisory Manual European banking supervision: functioning of the SSM and supervisory approach, March 2018, Available at: https://www.bankingsupervision.europa.eu/ecb/pub/pdf/ssm_supervisorymanual201803.en.pdf?42da4200dd38971a82c2d15b9ebc0e65

გიორგი შინაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობის სინერგიული ასპექტები იმერეთის ეპისკოპოსის, წმინდა გაბრიელის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში

საქართველოს რეალური და ჭეშმარიტი პროგრესისათვის აუცილებელია ბიბლიური და რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. საჭიროა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის აღორძინება-განვითარება.

თანამედროვე საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი პრობლემების გადაჭრას ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის სინერგიული, ჰარმონიული ურთიერთშეთანაწყობის საფუძველზე.

საზოგადოების წინსვლის ჭეშმარიტი გზა უფალთან ყოფნა და მეურნეობის ტრადიციული და თანამედროვე პრინციპების სინერგიული დაკავშირებაა, რაც საქართველოს ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს და გარანტიას წარმოადგენს.

თეოლოგიურ-ეკონომიკური სინერგიული მიმართულების მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლას.

საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებს და, კერძოდ, სამეურნეო-მმართველობით საკითხებს სათანადო ყურადღებას უთმობდნენ თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ქართველი წმინდანები, სასულიერო პირები, ღვთისმეტყველები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წმინდა გაბრიელი, იმერეთის ეპისკოპოსი.

წმინდა მღვდელმთავრის ბიოგრაფიის, რელიგიურ-სამეცნიერო-საზოგადოებრივი სინერგიული მოღვაწეობის, ქადაგებებისა და სამეცნიერო შემოქმედების შესახებ ხელმისაწვდომი მასალები არსებობს [1; 2; 3].

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ერისკაცობაში - გერასიმე ქიქოძე) 1840-45 წლებში სწავლობდა თბილისის, შემდეგ ფსკოვის და ბოლოს პეტერბურგის სემინარიაში. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. ამავე წელს დაოჯახდა და დაბრუნდა საქართველოში. 1849 იგი წელს დაინიშნა თბილისის სემინარიის ინსპექტორად, 1854 წელს ეგზარქოსის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ კი - მღვდლად.

1856 წელს მას თავს დაატყდა უბედურება: გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. ამ ტრაგედიის შემდეგ მამა გაბრიელი ეგზარქოს ისიდორეს ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა დავით გარეჯის მონასტერში. 1858 წელს გაბრიელი მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს. იმავე წელს გადაიყვანეს გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და გარდაცვალებამდე ამ სამწყსოს მღვდელმთავარი იყო. 1869 წელს მის განმგებლობაში შევიდა აფხაზეთის ეპარქია, ხოლო 1873 წელს მას მიემატა სამეგრელოს ეპარქია.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი, თავისი სამწყსოს ქვრივთა

და ობოლთათვის ლუკმის მიმწოდებელი. იგი ღრმად თანაუგრძნობდა მდაბალ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, მრავალ მოსწავლეს უწვდიდა დახმარების ხელს, საკუთარ სახლში ინახავდა და სწავლის ქირასაც უხდიდა, ამ ყმაწვილებთან სადილობდა და ზაასობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა კეთილშობილური აზრები.

მეუფე გაბრიელი ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა, რომელიც XIX საუკუნეში გადაგვარების მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

1890 წლის 21 ნოემბერს, ი. გოგებაშვილის წარდგინებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელსაც ამ დროს წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) თავმჯდომარეობდა, გაბრიელი ქართველ ხალხში განათლების შეტანის საქმეში ფრიად დიდი დამსახურების გამო საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. 1896 წლის 25 იანვარს მღვდელმთავარი გაბრიელი გარდაიცვალა.

წმ. გაბრიელი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ერის ზნეობრივ სახეს ქმნიან და რომელთაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ქვეყანას, რათა შეგვახსენოს, რომ წარმავალ ფასეულობათა გარდა არსებობს მარადიული და წარუვალი ფასეულობებიც და სათნოებათა გამოუთქმელ სილამაზეს ცოცხალი მაგალითებით გვაზიარებს.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი პირველად ქუთაისში დაიბეჭდა ორ ტომად 1913 წელს. წიგნი რეპრინტულად გამოსცა 1989 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ [4; 5]. ეს არის ქართული საღვთისმეტყველო სკოლის, კერძოდ კი, ქართული ჰომილეტიკის საუკეთესო ტრადიციების შესანიშნავი გაგრძელება. ამასთან დაკავშირებით პროფესორი გვანცა კოპლატაძე აღნიშნავს, რომ წმინდა მღვდელმთავრისა და მეცნიერის „ქადაგებებიცა და „ცდისეული ფსიქოლოგიაც“, რომელიც პირველად 1858 წელს გამოქვეყნდა რუსულად, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ რწმენასა და მეცნიერებას შორის არსებული დაპირისპირება ძალად შექმნილი და ხელოვნურია და რომ სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ეხმარებიან და ავსებენ: მეცნიერული ცოდნის გარეშე რწმენას სიმტკიცე აკლია, ხოლო მეცნიერება რწმენის გარეშე მკვდარია“ [1, გვ. 159].

რუსულენოვანი „ცდისეული ფსიქოლოგია“ ქართულ ენაზე გამოიცა 1993 წელს სახელწოდებით - „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ [6].

მღვდელმთავრის დიდ ღვაწლს სათანადოდ აფასებდა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა, რასაც ადასტურებს ამონარიდი წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა გელათის მონასტერში 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს: „მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებული კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, - საერო, თუ სამღვდლო, - რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-მშობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწვეწული მეცნიერი იყო და იმოედენავე ღრმად მორწმუნეცა, აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან, იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

...მისთანა სიბრძნეს სწავლობდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება -

მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

... ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებელი მეცნიერება“ [4, გვ. XII-XIII].

ბუნებრივია, რომ სინერგიული პრინციპებით მცხოვრები და მოაზროვნე მღვდელმთავარი და მეცნიერი უყურადღებოდ არ დატოვებდა ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიც სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი პრობლემების ქრისტიანული გააზრებაა. ასეთ საკითხებს იგი სწორედ სარწმუნოების, მეცნიერების, ერის საჭიროებათა გათავისებისა და დაუღალავი სულიერი და ხორციელი შრომის აუცილებელი ურთიერთშეხამების კუთხით უდგებოდა და ამის საფუძველზე სამწყსოს მაშინდელ რთულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ვითარებაში ზნეობრივი ცხოვრებისა და ღვთისსულიერი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის გზებს ასწავლიდა.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი ბევრს ქადაგებდა და წერდა სამეურნეო-მმართველობითი საკითხების ქრისტიანული გააზრების შესახებ. ბედნიერების საფუძვლად მას ადამიანის დაუცხრომელი სულიერ-ხორციელი შრომა და ძალისხმევა მიაჩნდა: „...ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი - შეურყეველი მხნეობა და დაუძინებელი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინე ესენი თუ გსურს ბედნიერება. ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, განამტკიცე ჩვენს გულში ეს მხნეობა, განაღვიძე ჩვენს შორის შრომის მოყვარება, გვყავ სულიერადაც ხორციელედაც წარმატებულნი და გაბედნიერებულნი“ [4, გვ. 454].

ქვემოთ გადმოვცემთ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის თეოლოგიურ-ეკონომიკური და სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრების უმთავრეს სინერგიულ პარადიგმებს და კონცეპტუალურ მოსაზრებებს:

1. ანგარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა, იგი შეიტყობს, რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა, და რა დააბრკოლებს მას, და ესრეთ მომავლის წლისათვის საქმეს უმჯობესად დააწყობს. საუბედუროდ ჩვენ ყოველთა, გვაფიქვდება ერთი ანგარიში, რომელიცა უსაჭიროესია და უმეტესად სასარგებლო არის თვითეულისათვის; რომელი? ქრისტიანული ზნეობითი ცხოვრების და ყოფა-ქცევის ანგარიში წარსულის წლის განმავლობაში. ...ესრეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენთვის, ვიდრე სხვანი, ვინაიდგან ადამიანის ყოველი საქმის და შრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგანთა მისთა თვისებათა და მიდრეკილებათა ზედა. კეთილ გონიერი ქრისტიანე ყოველ სადამოს გამოიკვლევს თავის სულიერს მდგომარეობასა, შენ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე [4, გვ. 12-13].

2. უკეთუ შენ ხარ ვაჭარი, როდესაც იწყებ შენი ვაჭრობის ანგარიშის შედგენას, მაშინ ისიც ჰკითხე შენ თავს: რა სახით აწარმოებდი ვაჭრობასა, სიმართლით, ანუ მოტყუებით? აღებ-მიცემაში გახსოვდა შენ, რომ სჯული შენი ყოველ საქმეში მოითხოვს სიმართლესა და პატიოსნებასა, ანუ სამწუხაროდ, შენ მხოლოდ იმას ფიქრობდი, რაც შეიძლება და რა სახითაც შეიძლება მომეტებული მოგეგო, ერთი სიტყვით, გახსოვდა შენ, რომ კაცი ჯერეთ უნდა იყოს ქრისტიანე და მერმეთ ვაჭარი? [4, გვ. 13].

3. თუ ხელმწიფის სამსახურში ხარ, როდესაც შეადგენ შენი სამსახურის ანგარიშსა, მაშინ ესეც ჰკითხე შენს თავს: როგორ ასრულებდი სამსახურსა, კეთილ-სინდისიანად, ანუ ბრუნდეთ? საქმის წარმოებაში შენ, იქნება გახსოვდა მარტო ფორმა, ანუ გარეგანი სახე საქმისა და არა შინაგანი მისი მნიშვნელობა? შენ, იქმნება იმას ცდილობდი, რომ შენთა უფროსთა თავი მოაწონო და ჯილდოები მიიღო, და არა იმას, რომ მოყვასთა შენთა მისცე

სარგებლობა და შემწეობა? ერთი სიტყვით, იქნება, შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობა და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დაამშვენებდეს [4, გვ. 13-14].

4. უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსულის წლის განმავლობაში? გახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ, უწინარეს ყოველთა, პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა [4, გვ. 14].

5. ანგარი კაცი ოდესაც იღებს ქრთამს, ფიქრობს, ბედნიერი და დიდი კაცი შევიქმნებიო. გარნა იმასაც მიხედ, რასა იტყვის მაცდუნებელი: უკეთუ თაყვანის მცე მე, ესე ყოველი მოგცე; მაშასადამე ყოველი ცოდვის აღსრულება არს ეშმაკის თაყვანის-ცემა; ყოველი სარგებლობა და კმაყოფილება გამომავალი ცოდვისაგან, ეშმაკის მსახურება არის, მაშასადამე ღვთის უარის ყოფა [4, გვ. 21].

6. სულიერი სიმდიდრე ემსგავსება ხორციელს სიმდიდრეს: თუ ვაჭარი კაცი არ ცდილობს, რომ ყოველთვის ცოტ-ცოტა მაინც დაუმატოს თვისსა სიმდიდრესა, ბოლოს იგი სრულიად გაღარიბდება. ეგრეთვე, თუ ქრისტიანე არ ცდილობს, რომ თან და თან უმჯობესი შეიქმნეს, ბოლოს უარესი შეიქმნება და წარწყმდება [4, გვ. 154].

7. შეიძლება, მძნო ჩემნო საყვარელნო, კაცმა ამ სოფელში ყოველი თვისი სოფლიური საქმე ისრედ დააწყოს, რომ ყოველი მისი შრომა და მოქმედება გადაიქცეს ღვთის-მსახურებად; ისიც შეიძლება, რომ ყოველი მისი ცხოვრება იყოს მსახურება და მონება მამონისა. ვაჭარი, რასაკვირველია თავისი გამდიდრებისთვის ვაჭრობს და იღწვის; გარნა უკეთუ იგი ვაჭრობს სიმართლით და პატიოსნებით, სიმდიდრეში არ არის ამპარტავანი, სიღარიბეში არ არის სულმოკლე, არამედ ესავს უფალსა, მონაგებისაგან თვისისა განუყოფს რასმეს გლახაკსა და ობოლსა, - ვაჭრობა მისი შეირაცხება ვითარცა მსახურება ღვთისა. ჩინოვნიკი ემსახურება და შრომას სწევს ჯამაგირისათვის და ჯილდოსათვის, გარნა უკეთუ იგი ემსახურება სიმართლით და პატიოსნებით, მსახურება მისი შეირაცხება, ვითარცა მსახურება ღვთისა [4, გვ. 232-233].

8. სამთა ეგოდენ დიდთა სათნოებათათვის, ვითარცა ღვთის პატივის-ცემა, ეკლესიის შემკობა, ობლების გამოზრდა, არა თუ განხრწნადი ფულის გამოღება არ უნდა გემძიმებოდეს, არამედ თავისა შენისა სიცოცხლე არ უნდა დაზოგო [5, გვ. 150].

9. მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა [5, გვ. 379].

10. ერთი მეორეს შური ქვეყანას ვერ გააკეთებს, ბედნიერება ქვეყნისა აშენდება მხოლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა. ქვეყანა გაძლიერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ერთი მეორეს არ უშლიან, არამედ, ხელს უწყობენ [5, გვ. 379].

11. ჩვენ ქრისტიანენი ვართ, და ვითარცა ქრისტიანეთა უდიდესი ფასი უნდა მივაწეროთ იმ მაგალითსა, რომელსაც გვიჩვენებს საღმრთო ისტორია. მოვიყვანოთ აქედგან მაგალითი: მაცხოვარი იესო ვიდრე სრულ ჰასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე სცხოვრობდა იოსებ ხუროს სახლში და ეხმარებოდა მას ხურობაში. უდიდესი

მოციქულთა შორის პავლე, როდესაც თავისუფალ დროს იპოვნიდა ქადაგებიდგან, იწყებდა თვისის ხელითა კერვასა ბამბის კარვებისასა და იქიდგან ირჩენდა თავის თავსა. უმაღლესნი მამათა შორის, ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, იოანე ოქროპირი, თავისუფალი რომ იქნებოდნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აღილებდნენ ბარსა და თოხსა და შეუდგებოდნენ მიწის კეთებასა, ესენი ყოველნი დამამცრომელად არ რაცხდნენ ესრეთსა მუშაობასა. მოკლედ: განვაგდოთ გულისაგან ის ცრუ, ცბიერი და მზაკვარი ჰაზრი, ვითომც მუშაობა იყოს კაცის ღირსების დამამდაბლებელი. ბედნიერი არის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველი მცხოვრები, დიდნი და მცირენი, არიან შრომის მოყვარენი; თავის შრომაზე და მეცადინეობაზე აქვთ იმედი და მათგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შესჩერებიან და უმზერენ მთავრობასა და ყოველი იმედი ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდვიათ ჩინებზე, ჯამაგირზე, ჯილდოზე, ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ-ჰყოფენ და უკადრისობენ. ღმერთო, განაძე გულისაგან ჩვენისა ყოველი ცრუ ჰაზრი, მოგვეც მხნეობა, დაჰბადე ჩვენს შორის სული შრომისა და მოღვაწეობისა! ამინ [4, გვ. 186].

12. ღვთისნიერად იქცევა კაცი, რომელსა აქვს გულში ჭეშმარიტი სასოება და სარწმუნოება. თუ მდიდარი არის იგი, არ განლადდება, არ დაივიწყებს თავსა თვისსა. სიმდიდრე მას არ გააფუჭებს: მას ყოველთვის აქვს სახეში მომავალი საუკუნე და ეშინია, რომ არ მოაკლდეს მას, და ჰცდილობს თვით სიმდიდრე თვისი მოიხმაროს ამ საქმისათვის. თუ იგი არის ღარიბი, მაშინ იგი არ შთავარდება სასოწარკვეთილებასა შინა, არამედ სცდილობს, რომ, რაც შეუძლია და რითაც შეუძლია, სათნო-ეყოს ღმერთსა. მაშასადამე, ნუ იფიქრებ, რომ მდიდარი წარწყმდა მხოლოდ მისთვის, რომ სიმდიდრე ჰქონდა, ანუ ღარიბი სცხონდა მარტო სიღარიბით. სიმდიდრე თავის თავად ვერც აცხოვნებს, ვერც წარწყმდის კაცსა, არამედ მოხმარება სიმდიდრისა; მზგავსადვე სიღარიბე. სულის ცხოვნება დამოკიდებულია სასოებასა და სარწმუნოებასა ზედა. ვისაც ესენი აქვს გულში ცხოველად, იგი სიმდიდრესაც მოიხმარს ცხოვნებისათვის და სიღარიბესაც [4, გვ. 357].

13. მართალია, მძანოჩემნო, დაწინაურებულნი საზოგადოებასა შინა, ანუ სიმდიდრითა, ანუ სწავლითა, ანუ ხარისხითა, უდიდესსა სარგებლობასა უნდა აჩვენებდნენ ქვეყანასა. გარნა რაც გინდა წვრილი და მდაბალი იყოს ადამიანი, მაინც შეუძლია მცირე სარგებლობა მისცეს ქვეყანასა. ისიც დიდი სარგებლობა იქმნება, თუ იგი არის შრომის მოყვარე! ისიც კეთილია, თუ მარტო თავის თავს არჩენს [4, გვ. 350].

14. რაც გინდა მდიდარი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაუტევოს შრომა. წინააღმდეგ ამისა, თუ მან განისვენა, იგი ზარმაცდება, მიეჩვევა უქმობასა და უქმობა შთააგდებს მას მრავალთა ცოდვათა შინა და ბოლოს სიმდიდრესაც დაჰკარგავს იგი და ყოველსა სულიერსაცა ღირსებასა. ...იგი თვის სიცოცხლეს და სიმდიდრეს ისრე უნდა უყურებდეს, ვითარცა ღვთისაგან დროებით მიბარებულს ნიჭსა, რომელსა ზედა ღმერთი ანგარიშს მოსთხოვს მას. როდესაც მდიდარსა და შემძლებელს კაცს აქვს ესრეთი ჰაზრი, მაშინ იგი ვედარ გაჰბედავს, რომ სიმდიდრე მოიხმაროს ჭამისა, სმისა და ღვინისათვის; არამედ სცდილობს, რომ მოიხმაროს იგი, როგორადაც იამება მას, ვინც მიაბარა იგი დროებით, ესე იგი ზეციერსა მამასა ჩვენსა [4, გვ. 394-395].

15. შენ თხოულობ პურსა არსობისასა და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოგცა კიდევ ღმერთმა; ერთ სადამოს დახარჯავ იმდენს, რაიცა ათს სულს გლახავს მრთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდი სავეს ხარ ყოველითა სიკეთითა

და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთნი შიმშილით კვდებიან. შენ არ შრომობ, უქმად ატარებ შენს დღეს, თუმცა შენც მოვალე ხარ, მზგავსად სხვათა კაცთა ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა [5, გვ. 9-10].

სტატიაში ასახული მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებასა და შესაბამისი პრობლემების სინერგიულ გააზრებასა და გადაჭრას დაუთმო დაუღალავი შრომა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში წმინდაგაბრიელ ეპისკოპოსმა. მის მიერ გამოკვლეულია სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საკითხების მთელი წყება, სახელდობრ: შრომა, ქველმოქმედება, ბედნიერება, სიმდიდრე, სიღარიბე, სწავლა-განათლება, ვაჭრობა, მართვა, ეკონომიკური ეთიკა და სხვ.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვთივსულიერი მოძღვრება სრულად ესადაგება საქართველოს დღევანდელ საჭიროებებს და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის მომავალი სინერგიულ-ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანული მოძღვრებიდან გამომდინარე პარადიგმების ერთიანობა.

სწორედ ასეთ ღვთივსულიერ ბაზაზე უნდა წარიმართოს მაღალზნეობრივი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა ქვეყნის ჭეშმარიტი პროგრესისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობლატაძე გ.. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. წიგნში: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, 2001. <http://www.orthodoxy.ge/tveni/ianvari/25-gabriel.htm>
2. შავიძე პ., სოციალურ-ეკონომიკური საკითხები წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის შემოქმედებაში (სადიპლომო ნაშრომი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდენტი. ხელმძღვანელი - გ. შიხაშვილი). თბ., 2002.
3. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I, ქუთაისი, 1913.
4. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II, ქუთაისი, 1913.
5. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1993.

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი

ზაზა ფარსენაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი


ექსპორტის მხარდაჭერი სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საექსპორტო საქმიანობის სტიმულირების სისტემა, ექსპორტის ხასიათისა და სტრუქტურიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში გამოიყენება. ექსპორტის სტიმულირების ეკონომიკურ თეორიაში ეს არის ეროვნული ექსპორტიორების საქმიანობის წახალისება.

თანამედროვე პირობებში, ბევრ სახელმწიფოში, ექსპორტის სტიმულირება წარმოადგენს ვაჭრობის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება აქტიური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარებაში.

ნახაზი 1

ექსპორტის განვითარების ღონისძიებების კლასიფიკაცია



ექსპორტის მხარდაჭერის პოლიტიკის სისტემა მოიცავს ღონისძიებათა ორ ჯგუფს. პიორველი მათგანი მიმართულია ხელსაყრელი მაკროეკონომიკური კლიმატის ფორმირებისაკენ, ქვეყანაში ექსპორტზე ორიენტირებული დარგების სტაბილური ფუნქციონირებისაკენ, ხოლო მეორე - უშუალოდ საექსპორტო ოპერაციების სტიმულირებაზე და მხარდაჭერაზე.

ექსპორტის სტიმულირების პრობლემისადმი მიდგომა არაერთგვაროვანია. სხვადასხვა ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის წახალისებისათვის. ეს ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განვითარების ეტაპზე, მსოფლიოში ზოგად ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამასთან შეიძლება გამოყოფილი იქნეს მათი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებმაც გამოიწვიეს ექსპორტის ზრდა და მისი სტრუქტურის სრულყოფა.

როგორც წესი, ექსპორტის განვითარება კავშირშია შიდა ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან. მხოლოდ ცალკეული ქვეყნები იყვნენ იძულებულნი მიემართათ იმპორტის მკაცრი შეზღუდვებისათვის, გადახდისუნარიანობასა და ვაჭრობას შორის ბალანსის დარეგულირების პრობლემის გადაჭრის მიზნით. იმპორტის ლიბერალიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნის გადახდისუნარიანობის და ვაჭრობას შორის არსებული ბალანსის გაუარესებას. ქვეყნისთვის ასეთი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება მაკროეკონომიკური რეგულირების ერთიანი პაკეტიდან ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ვალუტის კურსი, საგადასახადო რეფორმა, უცხოური კრედიტები და დახმარებები.

ექსპორტის სტიმულირების ფაქტორების გამოვლენას მრავალი გამოკვლევა მიემდგვნა (Barker, T., Kaynak, E. 1995, Katsikeas, C., Piercy N 1993, Leonidou, L. 1995). უმრავლეს შემთხვევაში კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ საექსპორტო სტიმულები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საექსპორტო პოტენციალის მამოძრავებელ ძალად გვევლინებიან.

თანამედროვე პირობებში განიხილავენ ექსპორტის მხარდამჭერ რამდენიმე მოდელს, რომლებიც ასახავენ სახელმწიფო ორგანოებსა და კომპანიებს შორის არსებული ურთიერთობის სისტემას. ამ სისტემის ფორმირება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის თავისებურებებზე, კომპანიების განვითარებაზე, ეკონომიკურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამრეწველო გაერთიანებების მნიშვნელობაზე, ბიუჯეტის ფინანსურ შესაძლებლობებზე, სამამულო კომპანიების მხარდაჭერის ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე, მნიშვნელოვანი კომპეტენციის და კონკურენტული უპირატესობის მქონე კომპანიების არსებობაზე.

უცხოეთის ქვეყნებში ექსპორტის მხარდამჭერი სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ სისტემებს აქვთ ზოგადი პრინციპები და სპეციფიურობები. მათი მიზანია დახმარება გაუწიოს გარკვეულ კომპანიებს და აირჩიოს მისთვის მისაღები ინსტრუმენტები. ყოველი ასეთი სისტემა თავისი შინაარსით და სტრუქტურით წარმოადგენს უნიკალურ მოდელს.


მსოფლიოში არსებული ექსპორტის მხარდამჭერი ყველა ორგანიზაციის დაახლოებით მესამედი ფუნქციონირებს, როგორც სამინისტროების სტრუქტურული ქვედანაყოფები (მაგალითად, საერთაშორისო ბიზნესისა და თანამშრომლობის სახელმწიფო სააგენტო ჰოლანდიაში, საერთაშორისო ვაჭრობის ადმინისტრაცია აშშ-ში).

ყველაზე დიდი ჯგუფია ფორმალურად ავტონომიური ორგანიზაციები, რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენენ სახელმწიფო საწარმოებს, რომელთაც აფინანსებს ხელისუფლება

მიზნობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით (მაგალითად JETRO იაპონიაში, ექსპორტის განვითარების კორპორაცია კანადაში). ასეთი ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან გარკვეული სამინისტროს ან უშუალოდ მთავრობის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციები, რომლებიც არსებობენ კერძო ან კვაზი-კერძო ორგანიზაციების ფორმით, ითვლებიან უფრო ეფექტურად, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურები. (Northdurft and William, 1992, გვ.69)

ნახაზი 2

ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების განაწილება ყველა ქვეყნის მიხედვით



წყარო: Export promotion for economies in transition, UN, 2011

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა დამოკიდებულია იმ როლსა და ფუნქციაზე, რომელიც ეკისრება ექსპორტის მხარდამჭერ ორგანიზაციას. როდესაც საქმიანობის კონცენტრირება კეთდება ექსპორტის წინსვლის ამოცანაზე, სავაჭრო პოლიტიკასა და ბაზარზე წვდომასთან დაკავშირებული საკითხები თანხმდება შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან. სხვა შემთხვევებში კი იგულისხმება, რომ ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციები განახორციელებენ ყველა იმ სამუშაოს, რომლებიც ეხებიან საგარეო ვაჭრობასა და ექსპორტს (მაგ., სინგაპურის ვაჭრობის განვითარების საბჭო (STDB) პასუხისმგებელია ექსპორტის მხარდაჭერაზე, სავაჭრო პოლიტიკასა და ბაზარზე წვდომაზე). (სინგაპურის საბჭო, 2018)

ექსპორტის მხარდაჭერის გარდა ექსპორტის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ რიგი სხვა ამოცანები:

1. შიდა და საგარეო ინვესტიციების მხარდაჭერა (ბელიზი, ბოტსვანა, კოსტა-რიკა, ჰაიტი, ჰონდურასი, მავრიკია, პანამა და ესპანეთი);
2. ექსპორტის საკრედიტო მხარდაჭერა (ბრაზილია, კოლუმბია, მექსიკა);
3. ბაზარზე წვდომის პირობების გამარტივება (სინგაპური);
4. ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება (დანია, პოლონეთი).

ექსპორტის მხარდამჭერი სისტემის სხვა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ქვეყნების საერთაშორისო სავაჭრო წარმომადგენლობები. მათი შექმნის ისტორია, მათი როლი ექსპორტის

მხარდაჭერაში და საორგანიზაციო ფორმები კარდინალურად განსხვავდებიან სხვადასხვა ქვეყნებში. ზოგიერთმა ქვეყანამ (ავსტრალია, ფინეთი, გერმანია და შვეიცარია) საერთოდ არ შექმნა სახელმწიფო სავაჭრო პალატები და მხარი დაუჭირა ექსპორტს კერძო, კომერციული სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით.

საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ მკვეთრად შეცვალა ბაზარი. ამასთან დაკავშირებით, ექსპორტის მხარდაჭერმა სისტემამ და მისმა საფუძველმა - საექსპორტო სტრატეგიამ, უნდა უზრუნველყონ ფორმებისათვის მათი სტრატეგიის კორექტირების გამარტივება, ვაჭრობის ფორმებისა და მეთოდების ცვლილებების შესაბამისად, მუდმივად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ასეთი მიდგომა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქმნის გარანტიებს კომპანიების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობისათვის.

საექსპორტო სტრატეგიის წარმატებას ბევრად განსაზღვრავს ეკონომიკის საექსპორტო პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა და ქვეყნის შიდა რეგულაციებთან დაკავშირებული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები. განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოურ ბაზარზე გასვლის ძირითადი პრობლემა ეხება არა პროდუქციის უშუალოდ წარმოჩენას და შესაბამისი პრომოციული ინსტრუმენტების შერჩევას, არამედ ასეთი პროდუქციის არქონას. ასეთ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია თავიდანვე არაკონკურენტუნარიანია საგარეო ბაზრებზე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს წარმოების დაბალი ტექნოლოგიები, რაც აისახება საქონლის ხარისხსა და დიზაინზე, ცოდნის ნაკლებობა ან საწარმოო სიმძლავრეების შეზღუდვა.

მოცემული პრინციპების დაცვა სახელმწიფოს ექსპორტის სტრატეგიის ფორმირებისას უზრუნველყოფს კომპლექსური და დაბალანსებული სტრატეგიის შემუშავებას, როლის გამოყენებას შეუძლია სამამულო კომპანიების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ზოგიერთი ქვეყნისთვის გადამწყვეტია ექსპორტის მხარდაჭერი სისტემის დაფინანსების საკითხი. ექსპორტის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების მოცულობა დამოკიდებულია მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების ინტენსივობაზე (გამოფენები, დაფინანსება, საინფორმაციო მხარდაჭერა, კონსულტაცია).

არსებობს რესურსების მხარდასაჭერად ჩადებული ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების პრობლემა. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოები და მკვლევარები უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას ექსპორტის განვითარებაში სხვადასხვა სახის ღონისძიებათა წვლილის ხარისხობრივ შეფასებაზე. ექსპორტის მხარდაჭერა წარმოადგენს მხოლოდ დამატებით მასტიმულირებელ ქმედებას, მაგრამ ამავე დროს ის არ შეიძლება იყოს ექსპორტის ზრდის ძირითადი მიზეზი.

ექსპორტის მხარდაჭერის ინსტიტუტები და მეთოდები სხვადასხვა ქვეყნებში

ქვეყანა	ექსპორტის მხარდაჭერის თავისებურებები
გერმანია	ყველაზე გავრცელებული საექსპორტო დახმარების ინსტრუმენტია საექსპორტო საკრედიტო დაზღვევა. საექსპორტო დახმარების განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტიტუტები სადაზღვევო კომპანია Euler Hermes და საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტები (რეკონსტრუქციისა და განვითარების KfW (Kreditanstalt für Wiederaufbau) და AKA (Ausfuhrkredit GmbH) ბანკები), რომელთა საქმიანობა ძირითადად მიზნად ისახავს ექსპორტისა და საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას. გერმანიის ფედერალური ფინანსურ სამინისტროში ექსპორტის მხარდასაჭერად გამოყოფილია საჯარო სახსრების მართვა. მას უფლება აქვს გასცეს გარანტიები ექსპორტის ოპერაციებზე. საექსპორტო კომპანიების მხარდაჭერაში, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საკონსულტაციო ორგანიზაციებს. მათი ძირითადი ამოცანაა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარება უცხოური ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების გზით. ყოველწლიურად, გერმანიის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, სურსათის, სოფლის მეურნეობისა და სამომხმარებლო დაცვის ფედერალური სამინისტროები ახორციელებენ უცხოური გამოფენებისა და ბაზრობებში გერმანული საწარმოების მონაწილეობის ორგანიზაციულ მხარდაჭერასა და დაფინანსებას, უცხოური ბაზრობის პროგრამის (Auslandsmesseprogramm AMP) განხორციელებას. (Аксенов и Овчинников, 2015, გვ. 32)
პოლონეთი	ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საექსპორტო კრედიტების დაზღვევა, რომელსაც ახორციელებს ექსპორტის საკრედიტო სადაზღვევო კორპორაცია (KUKE, S.A.). საზღვარგარეთის ბაზრების ძიების ხარჯების დაფარვა მოიცავს სამიზნე პროცესში გაწეულ ხარჯებს, უცხოელ კონტრაქტორთან ხელმოწერის შემთხვევაში. სახელმწიფო ხაზინის გარანტიით უზრუნველყოფილი საექსპორტო დაზღვევის სისტემა მოიცავს პოლონეთში ყველა საექსპორტო კრედიტს 2 წლით ან უფრო მეტი ვადით, ასევე სესხების გადავადებას 2 წელზე ნაკლები ვადით, რომელიც დაზღვეულია ე.წ. არასაბანკო რისკებთან მიმართებით. სუბსიდიები ხორციელდება BGK ბანკისა და პოლონეთის, უცხოური ან საერთაშორისო ბანკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ექსპორტის კრედიტს. DOKE პროგრამა მოიცავს ყველა საექსპორტო კრედიტს. (Бизнес путеводитель по республике польша, 2017).
ბელორუსი	ექსპორტის სტიმულირების მხარდასაჭერად ძირითად ელემენტებს წარმოადგენს ფინანსურ მხარდაჭერა - საექსპორტო კრედიტი და ექსპორტის რისკების დაზღვევის შესახებ. საექსპორტო კრედიტები ეძლევა როგორც ბელორუსიის რეზიდენტებს, ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ინდმეწარმეებად, ასევე არარეზიდენტ პირებს, მათ შორის უცხოურ ბანკებს. აქ არ არსებობს სპეციალიზებული ექსპორტ-იმპორტის ბანკი (Eximbank) და საექსპორტო კრედიტის გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ბანკში. სახელმწიფო დახმარების საექსპორტო რისკების დაზღვევა ხორციელდება საექსპორტო-იმპორტის სადაზღვევო კომპანია "ბელაკისიმგარანტი". მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ დადებული კონტრაქტების მოცულობა იზრდება ასევე, იზრდება სადაზღვევო დაფარვის მთლიანი ოდენობა დადებული კონტრაქტებით. ექსპორტის დაკრედიტება ბელორუსში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული. (Точицкая, 2012, გვ. 24)

ავსტრალია	მოქმედებს ექსპორტის დაფინანსების და დაზღვევის კომპანია (EFIC) - საექსპორტო-საკრედიტო სააგენტო, რომელიც თავის საქმიანობას კომერციულ საწყისებზე წარმართავს. ეყრდნობა თვითდაფინანსების პრინციპებს და ანგარიშვალდებულია ვაჭრობის სამინისტროს და ავსტრალიის პარლამენტის წინაშე. მისი ამოცანაა შეავსოს ე.წ. "ბაზრის უკმარისობა". კერძოდ, იმუშაოს სესხების სეგმენტში, ან სადაზღვევო მომსახურებაზე, სადაც კომერციული სექტორის შესაძლებლობები შეზღუდულია, ან არასაკმარისია იმისათვის, რომ ავსტრალიის პროდუქციის ექსპორტიორების მხარდაჭერა მოახდინონ. ამგვარად, კორპორაცია კომერციული ბანკების და სადაზღვევო ორგანიზაციების კონკურენტი კი არ არის, არამედ მათი სერვისების შემავსებელი სახელმწიფო სააგენტოა. სააგენტოსთან ურთიერთობისას, მესამე მხარის მიმართ აღებული ყველა ვალდებულების გარანტორი სახელმწიფოა.
ჩინეთი	ექსპორტის მხარდაჭერას ძირითადად ახორციელებენ ჩინეთის ექსიმბანკი, სადაზღვევო სააგენტო Sinosure და ჩინეთის განვითარების ბანკი. კომერციის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები კურირებენ და აკონტროლებენ ჩინეთის საექსპორტო სააგენტოების საქმიანობას. ყველა დასახელებულ ინსტიტუტს აქვს პასუხისმგებლობის საკუთარი სფერო, თუმცა ისინი ხშირად ავსებენ და დუბლირებენ ერთმანეთს. ექსიმბანკში მოქმედებს უცხოელ ინვესტორთა შეღავათიანი დაკრედიტების პროგრამა, რომელიც ასევე მოიცავს ჩინური საქონლის შეძენის ხელმისაწვდომობის ზრდას. (CECIC, 2017)
ბრაზილია	აქ მოქმედებს ექსპორტის სადაზღვევო სააგენტო SBCE, რომელიც ნაწილობრივ ეკუთვნის სახელმწიფოს და ბრაზილიის განვითარების ბანკი (BNDES). SBCE ფარავს მცირე და საშუალო ექსპორტიორთა მოკლევადიან დაზღვევას და საშუალოვადიან რისკებს. BNDES ახორციელებს ფონდირებას და მისი ძირითადი მიზანია ინვესტიციების და განვითარების ხელშეწყობა. 1990 წლიდან იგი ახორციელებს ექსპორტზე ორიენტირებული სამრეწველო სექტორის დაკრედიტებას. 2010 წელს ექსპორტის დაკრედიტების საერთო მოცულობამ 18 მლრდ. დოლარი შეადგინა.
ინდოეთი	ექსპორტის მხარდაჭერას ახდენს ინდოეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი და საკრედიტო სააგენტო ECGC. პირველი მათგანი გასცემს კრედიტებსა და გარანტიებს, ხოლო მეორე სადაზღვევო ოპერაციებს ემსახურება. ამ ორი ინსტიტუტის ჯამური მხარდაჭერის მოცულობა 10 მლრდ. დოლარია. ინდოეთის ექსიმბანკი აფინანსებს კონტრაქტების 90%-ს და ხელს უწყობს კაპიტალური მოწყობილობის ექსპორტს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს შეიქმნა ექსპორტის დაზღვევის ეროვნული ფონდი (NEIA), რომელმაც ECGC-ის ფინანსური შესაძლებლობები გააძლიერა.

განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყნებში, ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება საექსპორტო საკრედიტო სააგენტოების მეშვეობით. (Аксенов и Овчинников, 2012, გვ. 12) მათი შექმნა განპირობებულია საერთაშორისო კონკურენციით, განსაკუთრებით ტექნიკურად რთული, კაპიტალტევადი ნაწარმის ბაზარზე, ძვირადღირებული, მაკომპლექტებელი მოწყობილობებით და სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის გაფართოებით, საინვესტიციო პროექტების სარეალიზაციო ვადების გამსხვილებითა და გახანგრძლივებით.

მსოფლიოში დაახლოებით 100 საექსპორტო საკრედიტო სააგენტოა. ისინი საერთაშორისო ვაჭრობის „რუხ კარდინალად“ ითვლება. ბერნის კავშირის სტატისტიკით, 2011 წლის შედეგებით, მათი მეშვეობით იფარება საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის თითქმის 10% (1,43 ტრლნ.აშშ დოლარი). კანადაში ეს მაჩვენებელი 20,8%-ია, კორეაში - 31,3%. (Альманах Бернского союза, 2011)

ბოლო წლებში ექსპორტის მხარდაჭერი ორგანიზაციების ფუნქციონირების მახასიათებლებია:

- რეორგანიზაცია, მ.შ. მსგავსი ფუნქციების განმახორციელებელ სხვა სახელმწიფო

სტრუქტურებთან გაერთიანების ჩათვლით, გაწეული მომსახურების მაშტაბისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

- ასეთი სტრუქტურების დაფინანსების გაზრდა, გლობალურ ბაზარზე ეროვნული დაფარვის გაზრდისა და ოპერაციების ჩატარების მიზნით;

- გაწეული მომსახურების ასორტიმენტის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, კომპლექსური პროგრამების შემუშავების ხარჯზე, კლიენტის მსოფლიო ბაზარზე გაყვანის მიზნით, რაც ითვალისწინებს დახმარებას საექსპორტო საქმიანობის ყველა ეტაპზე;

- სპეციალური პროგრამების რაოდენობის ზრდა დამწყები ექსპორტიორებისა და მცირე ბიზნესისათვის;

- სპეციალური ინტერნეტ-პორტალების შექმნა, რომლებიც შეიცავენ ექსპორტიორებისათვის განკუთვნილ ყველა აუცილებელ პირველად, ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომ ინფორმაციას;

- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების ფუნქციების გაზრდა, ინვესტიციების მხარდაჭერის საკითხების ჩათვლით (ბევრ შემთხვევაში იქმნება ინვესტიციების და საგარეო ვაჭრობის მხარდამჭერი გაერთიანებული სტრუქტურები);

- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლობათა რეგიონული და უცხოური ქსელის გაფართოება;

- ოფიციალური და დიპლომატიური არხების გამოყენებით ეროვნული ექსპორტის მხარდასაჭერად უფრო აგრესიული ღონისძიებების გამოყენება, სამამულო ექსპორტიორების ინტერესების ლობირების ჩათვლით, ოფიციალური დიპლომატიური არხებით.

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებს. აკრძალულია საექსპორტო სუბსიდიები GATT-ის და WTO (ვმო)-ს წესებით. გამოყენებული მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდნენ იმ ვმო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიერ დადგენილ ღონისძიებებს. ამასთან, რიგი ღონისძიებების არსებითად არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო შეთანხმებების ნორმებს, მაგრამ გააჩნიათ ამ ნორმებისათვის მიუღებელი სამართლებრივი ფორმა.

ცხრილი 2

წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების ათეული (აშშ დოლარი, 2017 წ.)

	ქვეყანა	ექსპორტი	ხვ.წილი მსოფლიო ექსპორტში, %
1	სულ მსოფლიო	17545700714	100
2	ჩინეთი	2263370504	12.90
3	აშშ	1546272961	8.81
4	გერმანია	1450214838	8.27
5	იაპონია	698132787	3.98
6	სამხრეთი კორეა	573716618	3.27
7	ჰონგკონგი	549861455	3.13
8	საფრანგეთი	523385133	2.98
9	ნიდერლანდები	505941305	2.88
10	იტალია	503053928	2.87
11	გაერთიანებული სამეფო	442065707	2.52

წყარო: www.trademap.org

სამი ათეული წელი გავიდა ეიფორული ცივი ომის დასრულებიდან და სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ვაჭრობა და საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველთვის ვერ ავითარებს დემოკრატias და მშვიდობას და არც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებული ლიბერალური ინტერნაციონალური კონსენსუსი არის გარანტირებული.

საქართველოში ექსპორტის მხარდამჭერ პერსპექტიულ სისტემათა კონფიგურაციის შესასწავლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად, საჭიროა განხორციელდეს სხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის და გამოცდილების სისტემური ანალიზი. არსებობს მათი შესწავლის სამი ყველაზე პრინციპული ასპექტი: ექსპორტის მხარდამჭერი ძირითადი ელემენტების ფუნქციონირების თავისებურებანი, ექსპორტის მხარდამჭერი ინსტრუმენტების გამოყენების სფერო და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ექსპორტის მხარდამჭერი კონკრეტული მოდელის არჩევაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სინგაპურის ვაჭრობის განვითარების საბჭო, 2018. –URL: www.iesingapore.gov.sg
2. China export and credit insurance corporation. –URL: <http://www.sinosure.com.cn/en/>
3. Northdurft, A. and William, E. (1992) Going global: how Europe helps small firms export, Washington.
4. Аксенов, В. и Овчинников А., (2015) Экспортные кредитные агентства развивающихся стран в системе международного торгового финансирования: новые тенденции. Экономический журнал, 5. 32.
5. Бизнес путеводитель по республике польша. (2017). Обзор состояния экономики и основных направлений внешнеэкономической деятельности Республики Польша в 2016 году, Варшава.
6. Точицкая, И. (2012) Система стимулирования и поддержки экспорта в беларуси в контексте международного опыта. Исследовательский центр ИПМ. Минск.

ბორის ჭიჭინაძე

ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პრობლემები საქართველოში

ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება (ე.ი. აუცილებლობას არ წარმოადგენს) დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მუხლი 4). მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები (იმავე კოდექსის მუხლი 7). მუნიციპალიტეტებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით გააჩნიათ ორი უფლებამოსილება, ესენია: ა) საკუთარი უფლებამოსილება; ბ) დელეგირებული უფლებამოსილება (მუხლი 15). მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილება ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რომლის განხორციელების ვალდებულება მხოლოდ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ეკისრება. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი, რომლის ოდენობაც და დაანგარიშების სპეციფიკა დარეგულირებულია ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. ხოლო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტებს ეძლევათ მიზნობრივი ტრანსფერი.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა (1991 წლიდან) დღის წესრიგში დადგა ადგილობრივი მმართველობების ძირეული რეფორმირების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით გასული 27 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, შედეგი მიღწეული ჯერაც არ არის. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივი თვითმმართველობების რეალური დამოუკიდებლობისათვის. განვითარებული ქვეყნების თვითმმართველობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის დემოკრატიულად განვითარება წარმოუდგენელია თვითმმართველობების რეალურად განვითარების გარეშე. თვითმმართველობების განვითარებისათვის კი საჭიროა ადგილებზე იყოს საკმარისი ფინანსები, ქონება და პრაქტიკაში ხორციელდებოდეს შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური ადგილობრივი მენეჯმენტი. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის ნამდვილი დემოკრატიის სკოლა, ამიტომ თვითმმართველობების უფლებები ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამით. მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ არ არსებობს უკეთესი მეთოდი, ვიდრე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილობრივი მოქალაქეების მიერ გადაწყვეტა. თვითმმართველობა ეს არის ორგანიზებული და ერთობლივად მოქალაქეების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა. 1991 წლიდან მოყოლებული ადგილებზე ფატიურად არ ჩამოყალიბდა ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტურად გადაწყვეტაზე

იქნებოდნენ ორიენტირებულნი და მნიშვნელოვან ოპონირებას გაუწევდა ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამის ორგანოებს (საკრებულო, მერია), ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, მაინც ვერ გადმოვიღეთ ევროპიდან მოქალაქეთა შორის სოციალური ურთიერთობის პრაქტიკა, თუ როგორ ვიცხოვროთ ერთად და როგორ გადაწყვეტოთ ერთობლივად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვნად გაუარესდა მოქალაქეებს შორის ურთიერთნდობის ხარისხი. ადგილებზე შეინიშნება საზოგადოების კოლექტიური პასუხისმგებლობის დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ რაც არ უნდა მონდომებული იყოს მუნიციპალიტეტის მთავრობა ოპერატიულად გადაწყვეტოს ადგილობრივი პრობლემატური საკითხები, თუ მას ჯანსაღ ოპონირებას არ უწევს ადგილობრივი საზოგადოება, შედეგი მაინც არ მიიღწევა. ადგილობრივი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აღიქვამს, რომ საჭიროა კოლექტიურად, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების, ადგილობრივ მთავრობასთან ერთად გადაწყვეტა. საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს ასევე ის, რომ ხშირად მოქალაქეები საჯარო შეხვედრებზე ქვეყნის პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს ეკითხებიან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების (წყალი, გარე განათება, გზა, და ასე შემდეგ) გადაწყვეტაზე, მაშინ როცა ამ საკითხების მოგვარება თვითმმართველობების კომპეტენციაა. როგორც ზემოდ აღვნიშნე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, ადგილობრივი საკუთარი შემოსავლების ქრონიკული დეფიციტია.

ადგილობრივი ვალდებულებების შესრულების მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველობებს ერიცხებათ გათანაბრებითი ტრანსფერი. რომლის მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით. გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებულ შემოსავლებს მუნიციპალიტეტი იყენებს საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად. საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრანსფერის განაწილების არსებული მეთოდოლოგია ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. შექმნილი მდგომარეობა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არსებული საგადასახადო დაბეგვრის სისტემა არ ქმნის ადგილებზე შესაბამის სტიმულირებას.

მეტად თვალსაჩინო სურათს ვღებულობთ თუ განვიხილავთ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობას (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერი
2018 წლისათვის

№	მუნიციპალიტეტი	გათანაბრებითი ტრანსფერი (მლნ.ლარი)	შეფარდება სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებთან (%)
1	თბილისი	345.806	2.77
2	ბოლნისი	0	
3	გარდაბანი	0	
4	ახალქალაქი	0	

5	ბორჯომი	0	
6	შუახევი	0	
7	ყაზბეგი	0	
8	დანარჩენი მუნიციპალიტეტები	359.274	2.88
	სულ მუნიციპალიტეტები:	705.080	5.67

როგორც ცნობილია, გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტებს ეძლევათ იმ შემთხვევაში, თუ მათი საკუთარი შემოსავლები ვერ ფარავენ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით 2018 წელს გათანაბრებით ტრანსფერს ვერ მიიღებენ: ბოლნისის, გარდაბნის, ახალქალაქის, ბორჯომის, შუახევის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი №1) 2018 წელს თბილისის გარდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისათვის ჩასარიცხი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა (359.274 მლნ.ლარი) უდრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 2.88 %-ს, ხოლო ტრანსფერის საერთო ოდენობა თბილისის ჩათვლით (705.080 მლნ.ლარი) კი ტოლია მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 5.67 %-ისა.

ცხრილი 2

გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით
2018 წელს

№	მუნიციპალიტეტები	მოსახლეობა (მლნ.კაცი)	გათანაბრებითი ტრანსფერი (მლნ.ლარი)	მოსახლეობის ერთ სულზე გათანაბრებითი ტრანსფერის წლიური ოდენობა (ათასი ლარი)
1	თბილისი	1.114	345.806	0.310
2	დანარჩენი მუნიციპალიტეტები სულ	2.604	359.274	0.138
3	სულ მუნიციპალიტეტები:	3.718	705.080	0.190

მეტად საინტერესო სურათს ვღებულობთ თუ მოვახდენთ 2018 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტებისათვის განკუთვნილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გაანგარიშებას ერთ სულ მოსახლეზე შეფარდებით. წარმოდგენილი მონაცემებიდან (იხ. ცხრ. 2) ირკვევა, რომ თბილისის შემთხვევაში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 1.114 მლნ კაცს, 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენს წლიურად დაახლოებით 310 ლარს, ხოლო დანარჩენი საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის მთლიანად, რომლის მოსახლეობა შეადგენს 2.604 მლნ. კაცს, გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა წლიურად ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს დაახლოებით 138 ლარს. თვალსაჩინოებისათვის მთლიანად საქართველოს მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ერთ სულ მოსახლეზე წლიურად გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 190 ლარს. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის საშუალო დონის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გათანაბრებითი ტრანსფერიდან მუნიციპალიტეტების შემოსავლები ძალიან მწირია, ამას ემატება ასევე ის, რომ სხვა საკუთარი შემოსავლების (გათანაბრებითი ტრანსფერიც მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალს წარმოადგენს) ოდენობაც ძალიან მიზეზურია მუნიციპალიტეტებში, მთლიანობაში კი ვღებულობთ მცირე ადგილობრივ ბიუჯეტებს და ქრონიკულად შეუსრულებელ ადგილობრივ, საკუთარ ვალდებულებებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საერთო მოცულობის 2%-ს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხას მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს მიღებული და დამტკიცებული მერიის სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესი.

ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა გაზიარებულ იქნას უცხოური გამოცდილება და ადგილებზე შემოღებულ იქნას ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების ეფექტურობის ზრდას.

სწორედ ფინანსური რესურსების ნაკლებობა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ თვითმმართველობები ვერ ახდენენ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას, გამომდინარე აქედან ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობების მუშაობა არაეფექტური ხდება. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 90-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისგან. რეალურად კი მდგომარეობა სულ სხვაა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლები (გათანაბრებითი ტრანსფერის გარდა) შეადგენს მათი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების 17–20 %-ს, მაშინ როცა ანალოგიური საშუალო მონაცემი ევროპის ქვეყნებში (მათ შორის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში) შეადგენს 35–40 %-ს. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ-ეკონომიკურ მოგვარებას. შექმნილი მდგომარეობა კი მნიშვნელოვნად უშლის ხელს რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხი. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 %-ს უფლება აქვს წარადგინოს პეტიცია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის მიზნით. ანუ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებამოსილებები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ერთობლივად (საკრებულო, მერია, ადგილობრივი საზოგადოება) გადაწყვეტის მიმართულებით. საქართველოში კანონმდებლობის ამ უფლებით ფაქტიურად არცერთი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს არ უსარგებლიათ. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ გულგრილ დამოკიდებულებაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის კუთხით.

კიდევ უფრო რთულად არის საქმე საკრებულოს სხდომებსა და კომისიების შეკრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 87-ე მუხლის მიხედვით ნებისმიერ პირს უფლება აქვს წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია. აღნიშნული უფლებებითაც ფაქტიურად არ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები. მოქალაქეების ასეთი დამოუკიდებულება კი ხშირად უზიარებელია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირს სრულყოფილად არ შეასრულოს მათზე დაკისრებული და კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას. აღნიშნულ მუხლში ასევე აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება. მუნიციპალიტეტებში ამ კუთხითაც ძალიან მძიმედ არის მდგომარეობა და მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ფაქტიურად არ ხდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, საქმეს ართულებს ისიც, რომ მოქალაქეებიც არ თხოვენ მათ მიერ არჩეულ მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს წევრებს, შეასრულონ ამ კუთხით მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

კიდევ უფრო რთულად არის მუნიციპალიტეტებში საქმე ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტები საჯაროდ აქვეყნებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, მოქალაქეები მაინც არ მონაწილეობენ ბიუჯეტის ფორმირებაში და თავის წინადადებებს და მოსაზრებებს არ თავაზობენ მუნიციპალიტეტის მერიებს. გამომდინარე აქედან ხშირ შემთხვევაში საკრებულოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტი მოქალაქეებსა და მერიას შორის დაპირისპირების საგანი ხდება, რადგანაც როგორც მოქალაქეები ამბობენ, ადგილობრივი ბიუჯეტით არ ხდება მნიშვნელოვანი საჭირობო საკითხების გადაჭრა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულო დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა

წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ ხდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შედგენილი ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნება. აღნიშნული მიმართულებით არც მოქალაქეები არ იჩენენ შესაბამის ინტერესს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოქალაქეები სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ არიან დაინტერესებულნი, თუ როგორ მუშაობენ მათ მიერ არჩეული მერი და საკრებულო და იხარჯება თუ არა ეფექტურად ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო ფინანსები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტების დონეზე ფაქტიურად დარღვეულია სუბიექტებს შორის ურთიერთობის შემდეგი პრინციპი;

მოქალაქე → თვითმმართველობა → რეგიონი → ცენტრალური ხელისუფლება

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნადაა დასახვეწი სახელმწიფოში თვითმმართველობის აღქმის თავისებურებანი და აუცილებელია მოქალაქეები გავათვითცნობიეროთ მათ უფლებებსა და მოვალეობებში, რათა ისინი გავხადოთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას საკრებულოსთან და მერიასთან ერთად პროცესების თანამონაწილენი. ასეთი მიდგომით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილებზე საერთო სოციალური მდგომარეობა, რაც მთლიანობაში ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც ჯერ კიდევ ხელს უშლის ადგილობრივი ეკონომიკის და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არის შემდეგი:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური სისუსტე;
- ბ) მოქალაქეების აქტივობის დაბალი დონე;
- გ) ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- დ) მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების კარიერული წინსვლის ფაქტიური არარსებობა;
- ე) მუნიციპალიტეტების კომპეტენციების დაბალი დონე, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
- ვ) ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი აღრევა;
- ზ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირების გადამზადების დაბალი დონე;
- თ) ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირებში სტაბილურობის განცდის არარსებობა, დაკავებული სამსახურებრივი პოზიციის შენარჩუნებასთან დაკავშირებით;
- ი) ყოველი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებისას, მუნიციპალიტეტებში ხშირი რეორგანიზაცია და შტატების შემცირება;
- კ) არასტაბილური და არამდგრადი მუნიციპალური საჯარო სამსახური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალური მართვის გაუმჯობესების კუთხით ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა არსებული თვითმმართველობა დაუახლოვდეს რეალურ თვითმმართველობას. აღნიშნულ პროცესში კი უაღრესად მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობის ხარისხის მნიშვნელოვანი

ზრდა. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოქალაქეების ჩართულობის გარეშე რეალური თვითმმართველობა ფაქტიურად წარმოუდგენელია.

საჭიროა აღინიშნოს, ყველა ქვეყნის მუნიციპალიტეტებს, მათ შორის საქართველოს მუნიციპალიტეტებსაც გააჩნიათ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად საქართველოში მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ:

- ა. საკუთარი უფლებამოსილებები;
- ბ. დელეგირებული უფლებამოსილებები.

კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ დამოუკიდებლად საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის ზემდგომი ორგანოს (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა) უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტებს გადაეცემა კანონის საფუძველზე ან კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებები საკმაოდ ვრცელია. ქვემოთ მოვიყვანოთ იმ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებასაც მუნიციპალიტეტები ფაქტიურად ვერ ახდენენ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება; საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება მნიშვნელოვანი ხარვეზების ფონზე მიმდინარეობს. გამომდინარე იქედან რომ მუნიციპალიტეტებს აქვთ ძალიან მცირე ადგილობრივი საკუთარი შემოსავლები (ადგილობრივი შემოსავლების წილი მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტში 17–20%-ია) ამიტომ ბიუჯეტების პროექტის შედგენაც ცენტრალური ხელისუფლების მითითებითა და რეკომენდაციებით მიმდინარეობს. კრიტიკას ვერ უძლებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის და შეფასების პრაქტიკაც. ფაქტიურად არ არსებობს ის კრიტერიუმები რომლის საშუალებითაც მოხდება ბიუჯეტის შეფასება. ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტის შესრულების დროს ადგილი აქვს სუბიექტურ მიდგომებს, რითაც მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების ინტერესები. პრობლემებია ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მიმართულებით, რადგანაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხი სახსრების განკარგვისას ძალიან დაბალია. მუნიციპალიტეტები ადგილობრივი დამოუკიდებელი ბიუჯეტების არ-არსებობის გამო მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზე არიან დამოკიდებულნი.

ბ. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას მუნიციპალიტეტები ფაქტიურად ვერ ახორციელებენ, ადგილობრივი წყლის, ტყის და მიწის რესურსების არ-არსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო 2016

წლის 1 იანვრამდე მოემზადებინა და საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა შესაბამისი კანონპროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და მიწის რესურსების განსაზღვრის მიზნით, ამ დრომდე შესრულებული არ არის და აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტები ვერ ახორციელებენ კანონმდებლობით დაკისრებულ საკუთარ უფლებამოსილებებს. ასეთი მიდგომით კიდევ უფრო ილახება მუნიციპალიტეტების უფლებები და ისინი ვერ ახდენენ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული იმ ძირითადი უფლებამოსილების გამხორციელებას, როგორცაა ადგილობრივო მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი სერვისების მიწოდება, რითაც მუნიციპალიტეტები შორდება საკუთარ მოსახლეობას. იმედია საქართველოს მთავრობის მიერ დაჩქარდება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება.

გ. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით. მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ამჟამად საქართველოს მუნიციპალიტეტების კომპეტენციები ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების კუთხით მეტად სავალალოა და კრიტიკას ვერ უძლებს. მუნიციპალიტეტებში არ არსებობს არანაირი ადგილობრივი გადასახადები, გარდა ერთი ქონების გადასახადისა, რომლის შემოღების კომპეტენციაც ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების კუთხით ფიქციას წარმოადგენს. კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაინერგება ევროპული და ამერიკული გამოცდილება და შემოღებული იქნება ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადი, ასევე დღეს მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან (დღგ, მოგება) გარკვეული ნაწილი დარჩება ადგილობრივ ბიუჯეტებში. საკვებით შესაძლებელია განხორციელდეს და დაინერგოს ეს ინოვაციური მიდგომები მუნიციპალიტეტებში, თუნდაც ცენტრიდან მისაღები გათანაბრებითი ტრანსფერის პროპორციულად შემცირების ხარჯზე, რადგანაც ასეთი მიდგომით მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაინტერესება ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციის მიმართულებით და მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ანგარიშვალდებულებას ადგილობრივი ბიზნეს სექტორის მიმართ. ასევე აუცილებელია ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მოახდინოს ისეთი სფეროებიდან გადასახადების ადმინისტრირება, რომელი სფეროებიდანაც შემოსავლების სამსახური ფაქტიურად ვერ ახდენს გადასახადების ამოღებას. კერძოდ ასეთი სფეროებია: ბინის გამქირავებლები, ტრანსპორტით მომსახურების (მათ შორის ტაქსი) განმახორციელებელი პირები, ავტომანქანების შემკეთებელი პირები, რეპეტიტორები და სხვა. ასეთი კატეგორიის პირებს უნდა განესაზღვროთ მინიმალური გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელთა ამოღებას განახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ამჟამად ამ კუთხით არსებული მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შექმნილი მდგომარეობით კი მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო-საფინანსო ინტერესები. იმედია ამ სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესდება მთავრობა და მიღებული იქნება ისეთი კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხს აღნიშნული მიმართულებით.

დ. მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დღეს არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებას. არ არსებობს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, შესაბამის სფეროში არ არის განსაზღვრული საჭირო ნორმები და წესები. არ არსებობს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, მათ შორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები, არ არის დადგენილი განაშენიანების რეგულირების წესები. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 10 წელზე მეტია რაც მიმდინარეობს საუბრები ამ მიმართულებით, მდგომარეობა მუნიციპალიტეტებში ძალიან რთულია და ფაქტიურად მუშაობაც კი არ არის დაწყებული ამ კუთხით. შექმნილი მდგომარეობა მნიშვნელოვნად აუარესებს მუნიციპალიტეტების მდგომარეობას, ხელს უწყობს უკანონო მშენებლობების წამოწყებას, მათ შორის მრავალსართულიან ბინებზე უკანონო მიშენებებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა ამ კუთხით მოიძიონ როგორც საბიუჯეტო ასევე არასაბიუჯეტო თანხები, რათ შეადგინონ ეს გეგმები, რაც უფრო პროგნოზირებადს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის მათ შემდგომ ფუნქციონირებას. ასეთი გეგმების შედგენის შემდეგ მუნიციპალიტეტების საქმიანობა არ იქნება ქაოსური და მნიშვნელოვნად შეიცვლება დღეს არსებული მანკიერი პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით.

ე. მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;

ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში მეტად მძიმე მდგომარეობაა. მწირი საბიუჯეტო შემოსავლების და დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზის გამო მუნიციპალიტეტები ეფექტურად ვერ უზრუნველყოფენ ნარჩენების გატანას და მართვას. აუცილებელია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტების მდგომარეობა, რათა მათ მოახდინონ ამ მეტად მნიშვნელოვანი და მოსახლეობისათვის საჭირობო საკითხის ოპერატიულად მოგვარება. აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო რთულად დგას საქმე მუნიციპალიტეტების სოფელ ტერიტორიებზე. მუნიციპალიტეტები მწირი საბიუჯეტო შემოსავლების და არასაკმარისი სპეციალური ტექნიკის გამო ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობიდან მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების გამოტანას. არ არსებობს ადგილობრივი გადამამუშავებელი საწარმოები, უცნობია როგორ განხორციელდება ნარჩენების შეგროვება, ნარჩენების რა რაოდენობაა მოსალოდნელი წლის განმავლობაში, საერთოდ როგორია მუნიციპალიტეტების სტრატეგია ნარჩენების მართვის სფეროში. შექმნილი მდგომარეობა უარყოფითად აისახება მოსახლეობის საერთო კეთილდღეობაზე და მათ სამართლიან გულისწყრომას იწვევს. საჭიროა მთავრობის ხელშეწყობით სწრაფად შეიცვალოს მუნიციპალიტეტებში ამ მიმართულებით დღეს არსებული მძიმე მდგომარეობა.

ვ. წყალმომარაგების (მათ შორის ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალანირების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ამ კუთხით მუნიციპალიტეტებში მდგომარეობა მეტად რთულია. მუნიციპალიტეტები ვერ ახდენენ საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფას სასმელი წყლით და ვერ უზრუნველყოფენ სამელიორაციო სისტემის განვითარებას. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 163-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტები სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალანირების

მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს. ამჟამად სასმელი წყლისა და წყალანირებით მომსახურებას უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისების მიწოდება მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, მდგომარეობა სულ სხვაა და მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ამ უფლებამოსილების განხორციელებას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მეტად მძიმედ არის საქმე სასმელი წყლის მიწოდების კუთხით, საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს მუნიციპალიტეტებში წყალანირების მდგომარეობა. შექმნილი მდგომარეობა სასწრაფოდ საჭიროებს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შესაბამის რეაგირებას. კიდევ უფრო რთულად არის საქმე ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების განვითარების მიმართულებით. მუნიციპალიტეტები საბიუჯეტო სახსრების არ-არსებობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. სამელიორაციო მეურნეობის განვითარებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ზ. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზის გამო თვითმმართველ თემებში ამ კუთხით მდგომარეობა საგანგაშოა. აღნიშნულ სფეროში მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება ხორციელდება მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში, ხოლო თვითმმართველ თემებში ეს საკითხი კვლავ ღიადაა არის დარჩენილი. მიუხედავად ცენტრალური მთავრობის მრავალი მცდელობისა და დაპირებისა ამ საჭირობოტო თემის გადაწყვეტა არ ხდება, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი ხელისუფლებები ვეღარ ახდენენ გარკვეული კატეგორიის პირებისათვის (ომის მონაწილეები, ინვალიდები, უსინათლო პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები და სხვა) მგზავრობის ღირებულების ნაწილობრივ სუბსიდირებას, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს, შექმნილი მდგომარეობით კი მნიშვნელოვნად ილახება მუნიციპალიტეტების უფლებები, დამოუკიდებლად, თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ განახორციელოს ეს მეტად მნიშვნელოვანი საკუთარი უფლებამოსილება. არსებული კუთხით შექმნილი მდგომარეობა ასევე მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს აყენებს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რაც გამოიხატება ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პირების მხრიდან ბიუჯეტში ძალიან მწირი თანხების მობილიზებით. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას, რათა სწრაფად შემღონ თვითმმართველმა თემებმა კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ამ საკუთარი უფლებამოსილების შესრულება.

თ. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

თვითმმართველ თემებში აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. არასწორი და დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზის გამო ისინი ვერ ახდენენ გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირებას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ქაოტურად მიმდინარეობს გარე ვაჭრობები, ხშირ შემთხვევაში გარე ვაჭრობის მიმდევარი პირები მნიშვნელოვნად უშლიან ხელს ადგილობრივი მოქალაქეების სამართლიან უფლებას გადაადგილდნენ ქალაქის ქუჩების ტროტუარებზე. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ფაქტიურად ვერ უზრუნველყოფენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას. საჭიროა ამ მიმართულებით ცენტრალური

ხელისუფლების მნიშვნელოვანი გააქტიურება, რათა გაიზარდოს ადგილობრივი მთავრობების კომპეტენციები და შესაძლებლობები გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების მიმართულებით. საკითხის მოგვარება უკვე ათეულია წლებია არ ხდება.

ი. გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

ამ სფეროში შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგებულია, მუნიციპალიტეტებში მდგომარეობა მაინც რთულია. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში გარე რეკლამის განთავსება რეგულირებული არ არის. ქოტურად ახდენენ სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთი რეკლამების განთავსებას მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, სანაცვლოდ კი ადგილობრივ ბიუჯეტებში საერთოდ არ იხდიან თანხებს. საკითხი ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას და ადმინისტრირების გამკაცრებას ამ კუთხით.

კ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

აღნიშნული კუთხით საკანონმდებლო ბაზა შეიძლება ითქვას, რომ მოწესრიგებულია, თუმცა ხშირად მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად ვერ ახდენენ ამ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. ხშირად თბილისში რეგისტრირებული იურიდიული პირები (სს „სილქნეტი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“ და სხვა) სარგებლობენ მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ქონებით (ელ.ენერგიის ბოძები და სხვა), მაშინ როცა ადგილობრივ ბიუჯეტებში არაფერს არ იხდიან. საჭიროა ამ კუთხით დაიხვეწოს ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა და ადგილობრივი საკრებულოების მიერ დადგინდეს საფასურის ის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადონ კერძო კომპანიებმა ადგილობრივი ქონების სარგებლობის უფლებისათვის. საკითხის სამართლებრივად მოგვარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზარდება ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი, ასევე ლეგალური სახე მიეცემა ადგილებზე ამ კომპანიების საქმიანობასაც.

ლ. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დღესაც მოუგვარებელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს, ისინი მაინც ვერ ახდენენ ამ საკითხის გადაწყვეტას. შინაური ცხოველების ყოლის წესები დადგენილი არ არის, რაც მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოქალაქეებს. საჭიროა ამ კუთხით გაზიარებულ იქნას უცხოეთის გამოცდილება და სწრაფად მოხდეს ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური დახმარებით მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შინაური ცხოველები ყოლის წესების დადგენა, ასევე უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტა.

მ. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

აღნიშნული კუთხით მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდგომარეობა რთულია. მუნიციპალიტეტები ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფენ სასაფლაოების მოწყობას და მათ მოვლა-პატრონობას. შექმნილი მდგომარეობა ხელს უწყობს სასაფლაოების ტერიტორიების ქოტურად გამოყენებას, რაც ადგილობრივი მოქალაქეების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა როგორც საკუთარი ასევე მოზიდული არასაბიუჯეტო თანხებით მოახდინონ უკვე არსებული სასაფლაოების

მოწყობა და მათი მოვლა-პატრონობა. ბევრ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პრობლემებია შექმნილი ახალი სასაფლაოების მოწყობის კუთხით, რადგანაც მიწების უმრავლესობა უკვე პრივატიზებულია კერძო და იურიდიულ პირებზე, გამომდინარე აქედან სწრაფადაა აუცილებელი მუნიციპალიტეტებმა თავის საკუთრებაში დაირეგისტრირონ ის სასოფლო და არასასოფლო მიწები, რომლებიც შემდეგ გამოყენებული იქნება სასაფლაოების მოწყობისათვის. საკითხი მეტად აქტუალურია და ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

ნ. უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით მდგომარეობა რთულია. ბევრ მუნიციპალიტეტში არათუ თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი, არამედ უსახლკაროთა რეგისტრაციაც კი არ არის განხორციელებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი უფლებამოსილებაა, მდგომარეობა მაინც რთულია. ხშირად მუნიციპალიტეტები მწირი ადგილობრივი შემოსავლების გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ საკითხის გადაწყვეტას. საჭიროა ამ საკითხის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტებმა მოიძიონ როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო თანხები და სწრაფად მოახდინონ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა. საკითხის გადაწყვეტისას მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოიყენონ უცხოეთის გამოცდილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის დააფუძნონ ადგილობრივი არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები, რომელსაც ეყოლებათ თავისი ხელმძღვანელები და ორგანიზებულად მოხდება უსახლკარო პირების მომსახურება. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას, რათა კიდევ უფრო არ გართულდეს მუნიციპალიტეტებში არსებული უსახლკარო პირების სოციალური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში უსახლკარო მოქალაქეებს ღია ცის ქვეშ უხდებოდათ ღამის გათევა, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდის მათ მდგომარეობას.

ო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გარდა კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებებისა უფლება აქვთ იზრუნონ ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტაზე, მდგომარეობა ადგილებზე კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები მწირი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების გამო ვერ ახდენენ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში რთულად არის საქმე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ასევე მასობრივი სპორტის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის ხელშეწყობის კუთხით. არასაკმარისი საბიუჯეტო თანხების გამო მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო

გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას და ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მუნიციპალიტეტებში ხშირ შემთხვევაში პრობლემებია საკუთარი უფლებამოსილებების შესრულების მიმართულებით. საკითხი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან, რეგიონული ხელისუფლების მონაწილეობითა და მხარდაჭერით საჭიროებს სწრაფად მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო გართულდება მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა, რაც ადგილობრივი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს, მთლიანობაში საფრთხე დაემუქრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სტაბილურ და მდგრად განვითარებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებისა მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ დელეგირებული უფლებამოსილებებიც. დელეგირებული უფლებამოსილების წესი და პირობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის თანახმად;

სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით;

პრაქტიკაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ხდება ძირითადად უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მიმართულებით, სწორედ ამ უფლებამოსილებების დელეგირებას ახდენენ ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე. მუნიციპალიტეტებზე შეიძლება ასევე მოხდეს სხვა უფლებამოსილებების დელეგირებაც. საჭიროა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილებების დელეგირებისას ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენელმა და მუნიციპალიტეტის მერმა. ხელშეკრულებას კი ამტკიცებს საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. საქართველოს მუნიციპალიტეტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებამდე შესაბამისი სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის არ ფორმდება ხელშეკრულება, ასევე არ ხდება ხელშეკრულების დამტკიცება ადგილობრივი საკრებულოების მხრიდან. საკითხი საჭიროებს სამართლებრივ მოგვარებას. საჭიროა გაიზარდოს ამ კუთხით მუნიციპალიტეტების უფლებები, ასევე გაიზარდოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების პასუხისმგებლობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წინაშე.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს. ცენტრალური ხელისუფლებიდან უფლებამოსილების დელეგირებისას ასევე აუცილებელია იმავე ხელშეკრულებით განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას გაუწევს სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნათა თანახმად ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო

ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები. საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს და საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. საჭიროა მეტი პოლიტიკური და ფისკალური დეცენტრალიზება. სწორედ ამის შემდეგ მივიღებთ ადგილებზე მეტ თავისუფლებას და ადამიანთა შეხედულებების მრავალფეროვნებას, რაც მოქალაქეების მხრიდან არის იდეების რეალიზების საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ჭიჭინაძე ბ.**, საქართველოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები. ქუთაისი, აწსუ, 2015.
2. **ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ.**, ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2015" შრომების კრებული. ქუთაისი, 2015.
<http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/ChikhladzeNikoloz.pdf>
3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
5. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

მირზა ხიდაშელი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საქართველოს საბანკო სექტორის ტენდენციები და გამოწვევები


თანამედროვე საქართველოს საბანკო სექტორის ისტორიის ათვლა 1989 წლიდან იწყება. 1989 წელს დარეგისტრირდა პირველი კომერციული ბანკი, ხოლო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის საფუძველზე (სსრკ სახელმწიფო ბანკის ბაზაზე) შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი. სექტორის განვითარების საწყის ეტაპს ხშირად ახასიათებენ როგორც ქაოტურ პროცესს თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ეტაპი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა და დღეს მის წინაშე სულ სხვა გამოწვევები დგას.

საბანკო სექტორისა და მისი აქტივების სტრუქტურა

2014 წლის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორში 21 კომერციული ბანკი ოპერირებდა. 2015 წელს მათი რაოდენობა 19-დე შემცირდა.[1] 2017 წლის ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორში 16 ბანკი ოპერირებს (იხ. ნახ. 1).

ნახაზი 1

კომერციული ბანკების რაოდენობის დინამიკა საქართველოში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს საბანკო სექტორი ორი უპირობო დომინანტი ჰყავს, თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის სახით. მათი აქტივების ჯამი დაახლოებით 21,5 მლრდ ლარია, რაც

საბანკო სექტორის აქტივების 72%-ს შეადგენს (იხ. ნახ. 2).[2] მათ გარდა სექტორში კიდევ 14 ბანკი ოპერირებს, რომელთა აქტივების ჯამიც 8,6 მლრდ ლარს უტოლდება.[3] რაც, საშუალოდ, ერთ ბანკზე გაანგარიშებით 0,6 მლრდ ლარის ტოლია. მოცემული 14 ბანკიდან, თუ საშუალოს გამოვთვლით, თითოეულის აქტივები თიბისი ბანკის (ასევე საქართველოს ბანკის) აქტივების მხოლოდ 6%-ს შეადგენს. მიუხედავად საქართველოს ეროვნული ბანკის მცდელობებისა განუხრელად და დროულად დანერგოს ბაზელი III-ის მიხედვით გათვალისწინებული საზედამხედველო ჩარჩო, სექტორში არსებული კონცენტრაციის მაღლი დონე უთუოდ ზრდის სექტორის სისტემურ რისკებს.¹

ნახაზი 2

აქტივების განაწილება ბანკებს შორის



წყარო: სს “თიბისი ბანკისა” და სს “საქართველოს ბანკის” ბალანსები

ფინანსური სიღრმე (სესხები/მშპ)

საფინანსო სექტორისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების ამსახველ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო პარამეტრს წარმოადგენს ფინანსური სიღრმე. მსოფლიო ბანკის მიერ აღიარებულია, რომ მოცემული პარამეტრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც სიღარიბის შემცირებაზე, ასევე ეკონომიკის ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მასაც აქვს ე.წ. ზედა „ზღვარი“, რომლის შემგომ მოცემული პარამეტრი უკვე ზრდის რისკებს, როგორც ეკონომიკაში ასევე საბანკო სექტორში. ძირითადად ასეთ ზღვარს წარმოადგენს 200%-იანი ნიშნული. სწორედ, ამ ნიშნულთან ახლოს მდგომმა მიიღეს პირველი და ყველაზე მძიმე დარტყმა 2008 წლის საფინანსო კრიზისის დროს.


ფინანსური სიღრმის მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს კავკასიაში საუკეთესო პოზიციას აჩვენებს 62,05%, მაშინ როცა 2011-2012 წწ ჩვენ ჩამოვრჩებოდით სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. ნახაზი 3). პოსტ-საბჭოთა სივრცეში ესტონეთს ერთერთი ყველაზე

¹ უფრო დაწვრილებით იხ. ხიდაშელი მ. ნაწილობრივი დარეზერვების სისტემის ფუნდამენტური პრობლემები. <http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/KhidasheliMirza.pdf>

განვითარებული საფინანსო სისტემა გააჩნია. 2009 წელს ჩვენსა და ესტონეთს შორის, ფინანსური სიღრმის მიხედვით არსებული განსხვავება დაახლოებით 70 ერთეულს შეადგენდა. 2016 წლის მდგომარეობით ეს განსხვავება დაახლოებით 11 ერთეულია, ხოლო ჩვენი განვითარების ტრენდი აღმავალი.

ნახაზი 3

კერძო სექტორის დაკრედიტება / მშპ (%)




წყარო: მსოფლიო ბანკი

საბანკო სესხების სტრუქტურა

2017 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორის წინაშე რეზიდენტების დავალიანება 17,99 მლრდ ლარს შეადგენს. საყურადღებო ფაქტია, რომ ამ ვალდებულებების ნახევარზე მეტი (56%) შინამეურნეობებზე მოდის. 2008-2012 წლებში საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელში კორპორაციული სესხების წილი სჭარბობდა შინამეურნეობების წილს, თუმცა 2014 წლიდან ტენდენცია შეიცვალა და 2015 წელს, ამ უკანასკნელმა 433,5 მლნ. ლარით გადააჭარბა კორპორაციულ სესხებს (იხ. ნახ.4).

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის მონაცემებით, ეკონომიკის მთლიანი გამოშვების (34,2 მლრდ ლარი) მხოლოდ 3,5% (1,2 მლრდ ლარი) მოდის შინამეურნეობებზე. როგორც წესი, პროდუქციის გამოშვების გარდა, საოჯახო მეურნეობებზე გაცემული სესხების მომსახურება ხელფასისა და ფულადი გზავნილების სახით მიღებული შემოსავლების გამოყენებით ხდება. 2017 წლის სახელწმიფო ბიუჯეტის მიხედვით დარიცხული ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები 12 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო ჩამორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით 996 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ნახაზი 4. დაკრედიტების დინამიკა სექტორების მიხედვით
[ათას ლარებში]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, საოჯახო მეურნეობების წინაშე არსებული საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების ძირითადი წყარო ხელფასები და გზავნილებია. საოჯახო მეურნეობების მიერ გამოშვებული პროდუქცია ძალიან მცირეა როგორც მშპ-სთან ასევე მათ წინაშე არსებულ საკრედიტო ვალდებულებებთან მიმართებაში.

საპროცენტო განაკვეთი სესხებზე და სპრედი


როგორც საბანკო სექტორისათვის, ასევე ეკონომიკისათვის კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო მაღალია „გაყიდვები“, ანუ ეკონომიკის დაკრედიტების მთლიანი მოცულობა და ეკონომიკური ზრდის ტემპი. ამ პარამეტრის მიხედვით (იხ. ნახ. 5) საქართველო საუკეთესოა (12,6%) კავკასიაში, ასევე აჭარბებს ლატვიას (19,6%), თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ესტონეთს (4,2%).[4] საკითხის არსებითი განხილვისთვის აუცილებელი განვიხილოთ სპრედის მაჩვენებლებს შორის განსხვავება. სპრედი გვიჩვენებს დეპოზიტებზე არსებულ სარგებლის განაკვეთსა და სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობას.

რაც უფრო დაბალია სპრედი, მით უფრო სრულყოფილია ფასწარმოქმნის სისტემა სექტორში, რაც ცალსახად მიუთითებს კონკურენციის მაღალ დონეზე. სპრედის მიხედვით საქართველო არა მხოლოდ მეზობელ, არამედ ბალტიის ქვეყნებსაც ჯაბნის.

ნახაზი 5. საპროცენტო განაკვეთი სესხებზე (%)



წყარო: მსოფლიო ბანკი



წყარო: მსოფლიო ბანკი

თუ სესხების სიიაფით ესტონეთი ზუსტად სამჯერ ჯაბნის საქართველოს, სპრედის მიხედვით საქართველოს უპირატესობა 1%-ზე მეტია (იხ. ნახ. 6). რადგან სპრედი არ არის საქართველოში არსებული, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამომწვევი ფაქტორი, მაშინ უპრიანია განვიხილოთ თავად ბანკების მეორე მოზიდული ფინანსური რესურსების ღირებულება. დეპოზიტებზე არსებული სარგებლის განაკვეთი საქართველოში შედარებით მაღალია და ამას სპრედისა და სესხის პროცენტის მაჩვენებლების შეპირისპირებაც ადასტურებს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის გარედან მოზიდული რესურსების სიძვირე, რომელიც თავის მხრივ დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე. სუვერენული საკრედიტო რეიტინგის მიხედვით (იხ. ცხრ.1). საქართველო მეზობელ აზერბაიჯანსაც კი ჩამორჩება.[5]

ცხრილი 1.

სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

	Moody's	S&P	Fitch
ესტონეთი	A1	AA-	A+
აზერბაიჯანი	Ba2	BB+	BB+
საქართველო	Ba2	BB-	BB-
სომხეთი	B1		B+

წყარო: <https://countryeconomy.com/ratings>

ეს პარამეტრები აუცილებლად საჭიროებს კორექტირებას, რადგან სუვერენული რეიტინგების შედგენისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ეკონომიკური თავისუფლება და დემოკრატიის დონე ასრულებს. ევროკავშირთან ასოცირების მქონე ქვეყნის გათანაბრება აზერბაიჯანთან არარელევანტურია. საქართველოსგან მკვეთრად განსხვავებული და დადებითია ესტონეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი. შესაბამისად, სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის საქართველოსა და ესტონეთში არსებული სხვაობა სწორედ მოცემული რეიტინგების


არაპირდაპირი შედეგია, რის გამოც საქართველოს რეზიდენტ საბანკო ინსტიტუტებს არ აქვთ წვდომა იაფ საკრედიტო რესურსებზე ქვეყნის გარეთ.

საბანკო სექტორის შემოსავლები და მისი სტრუქტურა

2017 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საბანკო სექტორის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2,8 მლრდ ლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ შემოსავლების უდიდესი წილი არაპროცენტულ შემოსავლებზე (1,02 მლრდ ლარი) და ფიზიკური პირების სესხებზე (1,01 მლრდ ლარი) მოდის. მოცემული კომპონენტების ჯამი, მთლიანი შემოსავლების 73% შეადგენს. იურიდიული პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლები კი 0,6 მლრდ ლარი იყო (იხ. ნახ. 7).

შემოსავლების მოცემულ სტრუქტურაში საყურადღებოა იურიდიული პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლების დაბალი დონე, ხოლო ფიზიკური პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლების მაღალი დონე. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ შინამეურნეოების წილი მშპ-ში ძალიან დაბალია (3,5%) და შესაბამისად ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მომსახურების დიდ ნაწილი ხელფასებზე მოდის. უმჯობესია საბანკო სექტორის შემოსავლების სტრუქტურაში მეტი წილი იურიდიული პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლებზე მოდიოდეს და მცირე არაპროცენტულ შემოსავლებზე. საბანკო სექტორის შემოსავლების მოცემული სტრუქტურა არაჯანსაღია და არ იძლევა მდგრადი განვითარების საშუალებას გრძელვადიან პერიოდში.

ნახაზი 7. საბანკო სექტორის შემოსავლების სტრუქტურა
[იანვარი-აგვისტო 2017 წ.]



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დასკვნები

როგორც ზემოთ განხილულმა პარამეტრებმა გვაჩვენა, საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე გამსხვილების პროცესის მიუხედავად კონკურენციის დონე კვლავ მაღალია. მოცემულ შეფასებას ადასტურებს სპრედის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც მიგვითითებს, რომ დეპოზიტებზე არსებულ სარგებლის განაკვეთსა და სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა მინიმალურია არა მხოლოდ რეგიონის დონეზე, არამედ ბალტიის ქვეყნებთან მიმართებით. მიუხედავად სექტორში არსებული მაღალი კონცენტრაციისა, თანამედროვე

საკრედიტო სისტემა იმდენად გლობალური და მოქნილია, რომ სექტორში მომუშავე სუბიექტების რაოდენობის შემცირება პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს კონკურენციაზე.

ასევე დადებითი ტრენდი აქვს ფინანსური სიღრმის მაჩვენებელს, თუმცა სექტორის საკრედიტო პორტფელისა და შემოსავლების სტრუქტურამ აჩვენა, რომ მიუხედავად აბსოლუტურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული ზრდისა დაბალია კორპორაციული კრედიტების და შესაბამისად მათგან მიღებული საპროცენტო შემოსავლების წილი. შესაბამისად, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის, ფინანსური სიღრმის მაჩვენებლისა და ზოგადად საბანკო სექტორის მდგრადი განვითარების პერსპექტივებს. მიუხედავად ბაზელის კომიტეტის მიერ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დანერგვისა, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კონცენტრაციის მაღალი დონესექტორის, სადა აქტივების უდიდეს ნაწილს სულ ორი საბანკო ინსტიტუტი ფლობს. ბაზელი I და II-ის მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოებს, ხელი არ შეუშლია 2008 გლობალური საფინანსო კრიზისის განვითარებისთვის. როგორც წესი ბაზელის რეკომენდაციები წარმოადგენს პასუხს უკვე განვითარებულ და არა მოსალოდნელ კრიზისებზე. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ სექტორში კონცენტრაციის ზრდის დონით გამოწვეულ საფრთხეებს სრულად ვერ აღმოფხვრის ბაზელი III-ის საზედამხედველო ინოვაციები.

სექტორის შემდგომი განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი დაბრკოლებაა სუვერენული საკრედიტო რეიტინგების არაადეკვატურად დაბალი დონე, რაც რეზიდენტ ბანკებს არ აძლევს საშუალებას წვდომა ქონდეთ იაფ საკრედიტო რესურსებზე. ეს უკანასკნელი კი არსებითი ფაქტორია საქართველოს საბანკო სექტორისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი - წლიური ანგარიში
2. საქართველოს ეროვნული ბანკი - მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი
3. სს თიბისი ბანკისა და სს საქართველოს ბანკის 2016 წლის ბალანსები
4. მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები
5. <https://countryeconomy.com/ratings>

ვალისხილი თაა

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გენელიძე ლია

მოწვეული მასწავლებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრენდები და მათი ადგილი თანამედროვე ქართულ ბაზარზე

ბრენდები თანამედროვე სამყაროს სიმბოლო გახდა. ისინი შემოიჭრა ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში: ეკონომიკურში, სოციალურში, კულტურულში, სპორტულსა და რელიგიაშიც კი. მათი გაანალიზება შესაძლებელია და აუცილებელიც სხვადასხვა თვალსაზრისით: მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, სემიოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა.

დიდი ბრენდის კაპიტალი კომპანიას ბევრ უპირატესობას ანიჭებს. ძლიერი ბრენდი განაპირობებს მაღალ ცნობადობას და მომხმარებელთა ლოიალობას. ის, რომ მაღაზიაში შესულ მომხმარებლებს მისი ბრენდის თაროებზე ხილვის იმედი აქვთ, კომპანიას გადამყიდველებთან შევაჭრებისას დიდ უპირატესობას აძლევს. ბრენდის სახელს მაღალი გამძლეობა აქვს, ამიტომ კომპანიას შეუძლია უფრო ადვილად განავრცოს პროდუქციის სერია და ბრენდი.

ამ ყველაფერთან ერთად, ძლიერი ბრენდი ქმნის ბაზას მომხმარებელთან პოზიტიური და მომგებიანი ურთიერთობების შესაქმნელად. ამგვარად, ფუნდამენტური აქტივი, რომელიც ბრენდის ღირებულებას უსვამს ხაზს, არის მომხმარებლის კაპიტალი – მომხმარებელთა ურთიერთობების ფასეულობა, რომელსაც ბრენდი აყალიბებს. ძლიერი ბრენდი მნიშვნელოვანია, მაგრამ, სინამდვილეში, ის ლოიალური მომხმარებლების ერთობლიობას წარმოადგენს. მარკეტინგში ძირითადი ყურადღება მომხმარებლის კაპიტალის შექმნას ენიჭება, რომელშიც ბრენდის მენეჯმენტი ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

ბრენდი, თანამედროვე განმარტებით, მოიცავს მომხმარებლის ყველა ასოციაციას, რომელიც იქმნება პროდუქტთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილების, საზოგადოების მოწონებისა და გარშემომყოფთა რჩევების საფუძველზე. მომხმარებლის გონება აყალიბებს სახეს, რომელიც აერთიანებს ბრენდის სახელწოდებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მახასიათებელს. სიმბოლოსთან (Nike-ის ლოგოტიპი), შეფუთვასთან (Coca-Cola-ს ბოთლის ფორმა), სარეკლამო პერსონაჟთან (Nesquik-ის კურდღელი), მელოდიასთან (Coca-Cola, Nokia), კომუნიკაციასთან გაყიდვების ადგილებში, წინა შესყიდვების გამოცდილებასთან, პროდუქტის ხარისხით კმაყოფილებასთან, აგრეთვე, სარეკლამო გზავნილებით გამოწვეულ გრძნობებთან და ემოციებთან (შენ ხომ ამას იმსახურებ, L'Oreal!, „შეუძლებელი არაფერია!“ Adidas).

დევიდ ააკერი ბრენდს განმარტავს, როგორც ორდონიან სისტემას, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს, როგორც პროდუქტის ფიზიკურ მახასიათებლებს, ასევე ასოციაციურ ნაკრებს (იხ. ნახ. 1). საგულისხმოა, რომ აღნიშნულ სისტემაში სხვა პარამეტრებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმოშობის ქვეყანა.

ნახაზი 1.

ბრენდის შემადგენლები (დ.ააკერის მოდელი)



ქართული წარმოების პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება უამრავ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, ეს ასოცირდება მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამძაფრებასა და ცნობადობის პრობლემებთან. მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში საქართველოს სწორედ ქართული ბრენდების წყალობით იცნობენ, როგორებიცაა “ზორჯომი”, “სარაჯიშვილი”, „AVTANDIL“-ი, “ზვანჭკარა” და სხვა. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის ფაქტიც, რომ საქართველო დანარჩენი მსოფლიოსთვის ძირითადად, ღვინოსთან და ვაზის ტრადიციასთან ასოცირდება, ხოლო „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.


იმის გასარკვევად თუ როგორი დამოკიდებულება აქვს დღეს ქართველ მომხმარებელს ბრენდების მიმართ, ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელიც გულისხმობდა საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლას ზოგადად ბრენდების, კერძოდ, ქართული ბრენდების მიმართ. ანკეტური გამოკითხვა ჩავატარეთ, როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე პირისპირ. მოცემულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა რესპონდენტმა. მათ შორის უმრავლესობა (70.4%) მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი იყო. კითხვარი შეიცავდა, როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის კითხვებს, სადაც რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საკუთარი შეხედულება, თუ რას ნიშნავს მათთვის ბრენდი, მის რომელ მახასიათებელს ანიჭებენ უპირატესობას, რომელ ბრენდებს იცნობენ, როგორ გამოხატავენ მათ მიმართ სიმპატიას, რას ელოდებიან ბრენდისგან, ან რამ შეიძლება გამოიწვიოს მისი შეცვლა, უთმოზენ თუ არა რეკლამას ყურადღებას და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვავლინეთ ქართველ

მომხმარებელთა დამოკიდებულება ბრენდებისადმი.

კითხვაზე - ბრენდის რომელი მახასიათებელია მათთვის მნიშვნელოვანი, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა - 56.3%-მა აღნიშნა, რომ პროდუქციის მაღალი ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ბრენდი მომხმარებლის მხრიდან აღიქმება, როგორც მაღალი ხარისხის მქონე პროდუქცია. გარდა ხარისხისა, მომხმარებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა ბრენდის ინდივიდუალურობა. ასეთი პასუხი გამოკითხულთა 31.7%-მა გასცა, მცირე ნაწილი კი ყურადღებას ამახვილებს ბრენდის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ბრენდის მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან განაცხადზე, მეგობრების ან ახლობლების რეკომენდაციაზე და ა.შ.

ნახაზი 2.

როგორ გამოხატავთ სიმპათიას სასურველი ბრენდის მიმართ?




მნიშვნელოვანია, თუ როგორ გამოხატავს მომხმარებელი სიმპათიას სასურველი ბრენდის მიმართ (იხ. ნახაზი 2). ძირითადად გამოიკვეთა ორი პასუხი, დიდი ნაწილი - 42.1% ამბობს, რომ ისინი სიმპათიას გამოხატავენ ბრენდის მიმართ მისი შეძენით, ხოლო 34% ამბობს, რომ ისინი საუბრობენ სასურველი ბრენდის შესახებ სხვებთან, რაც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რით განსხვავდება ბრენდული საქონელი სხვა საქონლისაგან და რა უპირატესობა აქვს მას სხვა ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით. მომხმარებელი რომელსაც არ შეუძლია მისი შეძენა, მაინც ფიქრობს ბრენდზე და პირველი შესაძლებლობისთანავე აუცილებლად შეიძენს მას. ასევე მცირედი პროცენტულობით, მაგრამ მაინც გამოიკვეთა შემდეგი პასუხები: ვხდებით ლოიალურები ბრენდის მიმართ (12.2%), ვიწონებთ სოციალურ ქსელში (10.7%) და ვიმეწთ ონლაინ (1%).

შემდეგი კითხვა გულისხმობდა გაგებას, თუ რას ელიან რესპოდენტები იმ ბრენდისგან რომელსაც მოიხმარენ. გამოკითხულთა ნახევარი, სასურველი ბრენდისგან ელის, რომ მისი დახმარებით ის ხაზს გაუსვამს საკუთარ ინდივიდუალობას, ხოლო 24% სურს, რომ კარგად იცნობდეს იმ ბრენდს, რომელსაც მოიხმარს. 18%-სთვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ შერჩეულმა ბრენდმა წარმატება მოუტანოს მას, ხოლო დარჩენილი 8%-სთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა მახასიათებლები, როგორებიცაა კომფორტი, ხარისხი და სხვ.

ნახაზი 3.

რას ელიან მომხმარებლები იმ ბრენდისგან, რომელსაც მოიხმარენ?



როგორც კვლევამ გვიჩვენა, საყვარელი ბრენდის შეცვლის გამოძევები მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინოვაციური, მენტალური და სხვა სახის გარემოება. გამოკითხვიდან ჩანს, რომ საყვარელ ბრენდზე უარის თქმა, პირველ რიგში, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებამ (38%), მას მოსდევს ეკოლოგიურად უფრო სუფთა ბრენდის გამოჩენა (36%), ასევე ბაზარზე უფრო პრესტიჟული ბრენდის გამოჩენა (25%), რომელსაც მოყვება ბრენდის იმიჯის შელახვა (20%) და პროდუქციაზე ფასის ზრდა (19%). აღსანიშნავია, რომ ფასის ცვლილების გამო გამოკითხულთა არც ისე დიდი რაოდენობა შეიცვლის ბრენდს, რაც იმას მიანიშნებს, რომ თუ ადამიანს შემოსავალი აქვს მისთვის სასურველი ბრენდის გამო, ის ფულს არ დაინანებს, თუნდაც ოდნავ ძვირი იყოს. გამოკითხულთა საკმაოდ მცირე რაოდენობა, თვლის რომ საყვარელ ბრენდს შეიცვლიდა ოჯახის წევრების ან მეგობრების რეკომენდაციით (9%), ხოლო 8% კონკურენტი ბრენდების მიერ შემოთავაზებული აქციების, ან რეკლამის გამო იტყოდა უარს საყვარელ ბრენდზე.

მომხმარებელთა 59.6%-სთვის რეკლამას პროდუქციის შერჩევისას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც საგულისხმო და გასათვალისწინებელი უნდა იყოს ნებისმიერი პროდუქციის მწარმოებლებისთვის, განსაკუთრებით კი ბრენდული საქონელისთვის, რამეთუ კარგი რეკლამა წარმატების საწინდარია. ამას ადასტურებს ისიც რომ გამოკითხულთა 22.7% რეკლამას განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ კარგი რეკლამის გამო ყიდულობს ამა თუ იმ საქონელს. მხოლოდ 17.7%-ის თქმით არ აქცევენ რეკლამას ყურადღებას და მათთვის არანაირ განმსაზღვრელ ფაქტორს არ წარმოადგენს ნაწახი ან მოსმენილი რეკლამა.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა აგრეთვე იმის გაგება, თუ რომელი წყაროებით ეძებდნენ ინფორმაციას მომხმარებლები, როდესაც მათ ახალი პროდუქტის შეძენა სურდათ. გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა ამბობს, რომ ისინი ეკითხებიან ნაცნობებს და მეგობრებს (32%), შემდეგ მოდის ადამიანები, რომლებიც თავად ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას სხვადასხვა ბრენდების ვებ-გვერდებზე (29%), ასევე ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას ეძებენ სხვადასხვა ბლოგებსა და ფორუმებზე (21%), მცირედი ნაწილის თქმით კი (11%) ისინი სპეციალიზირებულ მაღაზიებში მიდიან და იქ იღებენ კონსულტაციას, ახალი პროდუქციის შესახებ. სატელევიზიო რეკლამებმა კი ხმათა ყველაზე მცირე რაოდენობა მიიღო (7%), რაც იმას ნიშნავს რომ მომხმარებელი აღარ უცდის თუ როდის გამოაცხადებენ ტელევიზიით ამა თუ იმ ახალი პროდუქტის შესახებ, არამედ ცდილობს თვითონ მოიძიოს ინფორმაცია მისთვის


საჭირო საქონელზე, რისთვისაც იყენებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ინტერნეტს, აგრეთვე ნაცნობებსა და მეგობრებს, მათ რჩევებს.

და ბოლოს, საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა ეს იყო: მოიხმართ თუ არა ქართულ პროდუქციას და რატომ? ეს კითხვა საინტერესო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ გაგვეგო როგორი დამოკიდებულება აქვს ქართველ მომხმარებელს ეროვნული პროდუქციის მიმართ (იხ. ნახ. 4).

პასუხებიდან გამოჩნდა, რომ 34.8% -ისთვის ქართული პროდუქცია არა მარტო მისაღებია, არამედ მათთვის „წარმოებულია საქართველოში“ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია პროდუქტის შერჩევისას. 24.7% ენდობა ქვეყნის შიგნით წარმოებულ საქონელს, ხოლო 19.2% კი პერიოდულად მოიხმარს ქართულ პროდუქტს იმიტომ, რომ ხელმისაწვდომია. საერთო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა თითქმის 80% დადებითად აფასებს ქართულ პროდუქციას და მზადაა შეიძინოს იგი. გამოკითხულთა მხოლოდ 10.6% აცხადებს უარს მის მოხმარებაზე უკეთესის შეძენის მიზნით, ხოლო 9,4% - იმის გამო, რომ უხარისხოდ თვლის ქართულ პროდუქტს, უბრალოდ არ ენდობა მას.

ნახაზი 4.

მოიხმართ თუ არა ქართულ პროდუქციას? რატომ?



კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ დღეს ყველაფრის ცენტრში დგას მომხმარებელი. შესაბამისად, კომპანიის პირდაპირ ინტერესში უნდა შედიოდეს საკუთარი მომხმარებლის უკეთესად გაცნობა. სწორედ ამიტომ, კომპანიებმა ყველა კუთხიდან უნდა შეხედონ და შეისწავლონ არსებული და პოტენციური მომხმარებელი, რაც თავის მხრივ, კომპანიას დაეხმარება, ახალი პროდუქტის განვითარებაში და/ან მარკეტინგული აქტივობის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მომხმარებლის კონკრეტული მოთხოვნილებები და საჭიროებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებელი ბრენდს და ბრენდულ საქონელს აღიქვამს, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციას და, ამასთან, ის ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ხარისხზე, არამედ მის უნარზე დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებები და სურვილები. ბრენდის უპირატესობა ისაა, რომ იგი ინდივიდუალურად მორგებული, უნდა აკმაყოფილებდეს მყიდველის გემოვნებას და კომფორტს უქმნიდეს მას. ბრენდისთვის დამახასიათებელია მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ბრენდული საქონლის შეძენა რომც არ შეეძლოს მყიდველს, ის იმდენადაა მოხიბლული ამ საქონლით, რომ მის სიმპატიებსა და ემოციებს უზიარებს სხვებს. სასურველი საქონელი მუდამ მყიდველის

ქვეცნობიერშია და როგორც კი მიეცემა მისი შეძენის საშუალება დაუფიქრებლად იყიდის მას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბრენდზე ფასის ზრდამაც კი შეიძლება არ გამოიწვიოს მისი გაყიდვების კატასტროფული კლება, თუ ადამიანები მზად არიან თავიანთი მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად გადაიხადონ უფრო მეტი, ვიდრე იგივე საქონელში უფრო ნაკლები, მაგრამ მათთვის არასასურველი დასახელებით.


რაც შეეხება საქართველოს, ქართულ ბრენდებსა და ქართველ მომხმარებლებს, გამოკითხვიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საზოგადოება მზადაა შეიძინოს ადგილობრივი პროდუქცია, ენდობა ქართული პროდუქციის ხარისხს, ამიტომ საჭიროა უფრო მეტი მონდომება, როგორც ეს შეძლო არაერთმა ქართულმა ბრენდმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვალიშვილი თ., გენელიძე ლ. ბრენდინგი. ელ.სახელმძღვანელო. ქუთაისი, 2018.
2. გამთენაძე ქ. ქართული ბრენდები საერთაშორისო ბაზარზე. <https://www.allnews.ge>
3. ჩიგოგიძე ხ. ათი უძველესი ქართული ბრენდი. <http://www.bpn.ge/>
4. Kapferer, Jean-Noël. New strategic brand management: creating and sustaining brand equity long term / JeanNoël Kapferer. – 4th ed.
5. Philip Kotler and Gary Armstrong, Principles of Marketing, published by Pearson Education. 17th edition. 2018.

KUTAISI UNIVERSITY

ECONOMIC PROFILE



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

e – 491

№18, 2018

December

ISSN 1512-3901 (Print)

E ISSN 2587-5310 (Online)

ABSTRACTS:

MAKROECONOMIC PROBLEMS

TOURISM

REGIONAL AND SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS

Contents

SCIENTIFIC EDITORIAL BOARD:

Editor: Dpctor of Economic Sciences (D.E.S.),
Member of Georgian Economic Sciences
Academy (GESA)
Professor **REVAZ KAKULIA**
Responsible editor:
D.E.S., Prof. **NIKO CHIKHLADZE**

MEMBER OF EDITORIAL BOARD:

Academician **ABTANDIL SILAGADZE**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Prof. **EVGENY BARATASHVILI**
Prof. **REVAZ BASARIA**
Prof. **GEORGE GHAVTADZE**
Prof. **GEDEVAN KHELAIA**
Prof. **REVAZ MANVELIDZE**
Prof. **ELGUJA MEKVABISHVILI**

ACADEMIC DOCTORS OF ECONOMICS,
ASSOCIATE PROFESSORS:

LELA BAKHTADZE
AKAKI BAKURADZE
GIORGI SHIKHASHVILI
NAIRA VIRSALADZE
KHATUNA SHALAMBERIDZE
GORERDZI SHANIDZE
GURAM UPLISASHVILI

MEMBER OF THE DAYSIDE:

Prof. **SERGEI LUKIN** (Belarus)
Prof. **TIMO LINKOLA** (Finland)
Prof. **PIOTR MASHEGOV** (Russia)
Prof. **MARYA TURYSKAIA** (Ukraine)

13, Tsereteli, str., Kutaisi
Georgia 4601
Tel: (+995 431) 242 73, 251273
info@unik.edu.ge, chixi@mail.ru
www.economicprofile.org

FIUNDER: KUTAISI UNIVERSITY
www.unik.edu.ge

Lia Eliava

THE MAIN FEATURES OF THE BANKING
SUPERVISION MODEL
IN A GLOBALIZED WORLD.....3

Nikoloz chikhladze, Zaza pharsenadze

EXPORT SUPPORT SYSTEMS IN FOREIGN
COUNTRIES.....3

Mirza Khidasheli

TRENDS AND CHALLENGES OF BANKING
IN GEORGIA.....4

Nazi Baratashvili, Zaza Pharsenadze

WAYS TO INCREASE TAX POLICY AND EXPORT
POTENTIAL AS THE BASIS
FOR SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT5

Elguja Deisadze

THE ROLE OF RURAL TOURISM FOR SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF RURAL AREAS.....5

Teona Grigolashvili

EVENTS AS A MAIN COMPONENT OF TOURISM
BUSINESS.....6

Giorgi Shikhashvili

SYNERGISTIC ASPECTS OF SOCIO-ECONOMIC AND
MANAGERIAL ACTIVITY IN THE WORKS AND
CREATIVITY OF ST. GABRIEL, IMERETI BISHOP.....6

Boris Chichinadze

LOCAL SELF-GOVERNANCE DEVELOPMENT
PROBLEMS IN GEORGIA.....7

Valishvili Tea, Genelidze Lia

BRANDS AND THEIR POSITION AT MODERN
GEORGIAN MARKET.....7

LIA ELIAVA

Professor of Kutaisi University

THE MAIN FEATURES OF THE BANKING SUPERVISION MODEL IN A GLOBALIZED WORLD

Abstract

Models and organizational structure of banking regulation and supervision in each country is characterized by national characteristics, which were due to historical reasons, economic conditions and national mentality. The establishment of banking supervision provided for periodic change of its structure and organizational form. To date, the banking supervision implemented by the central banks, mega regulators, specially created public entities. But the question remains about the appropriateness of a particular model of banking regulation and supervision. This question is particularly with respect to the functions of the central bank as a banking regulator. Diversity of opinions and arguments in favor of or against such a function does not give a clear answer to the question - will decrease or increase the quality of banking regulation and control if it is implemented by the central bank or another public entity.

Opponents of the banking supervision department of the central bank believe that employees of the central bank are more qualified, a powerful information base and a well-established information flow contributes not only to effective monetary policy, but also to quality banking supervision.

Proponents of the separation of banking supervision from the central bank, as arguments, point to a conflict of interests between the objectives of monetary policy and banking supervision, excessive concentration of power in the central bank, its politicization and party sympathies.

NIKOLOZ CHIKHLADZEDoctor of economic sciences,
Professor of Kutaisi University**ZAZA PHARSENADZE**

Doctoral student of Kutaisi University

EXPORT SUPPORT SYSTEMS IN FOREIGN COUNTRIES

Abstract

Stimulating system of export activity is practically used in all states in accordance with export nature and structure. It's an encouragement of the national exporters' activity in economic theory of export stimulating.

In the modern conditions, in many states, export stimulating is an important part of trade policy, what first of all is expressed in pursuing of active foreign trade policy.

Export support policy system includes two groups of the measures. The first one is directed to the

formation of favorable macroeconomic climate, to the stable functioning of the fields, oriented on the export in the country and the other one – is aimed directly to the stimulating and support of export operations.

In order to study the configuration of prospective systems of export support in Georgia and in order to get the relevant conclusions, it's necessary to be carried out systemic analysis of the practice and experience, existing in other countries in this direction. There're three most principle aspects of their studying: peculiarities of functioning of the main elements of export support, field and factors of using the export support instruments, which have an influence on selection of specific model of export support.

MIRZA KHIDASHELI

Doctor of Business Administration,
Associate Professor of Kutaisi University

TRENDS AND CHALLENGES OF BANKING IN GEORGIA

Abstract

Banking is one of the most developed business in Georgia. We have 16 banks with total assets of 30.1 bln GEL. Two of them are presented at London's stock exchange "prime listing". The sector overcome 2008 financial crisis without significant losses and breaks. National Bank of Georgia is successfully adopting all kind of regulation and supervision practice from the Basel III. Despite the merging process in the sector, the business environment has competitive nature. The spread, percentage gap between deposits and loans are the lowest (2.7%) not only in the Caucasus but also in Baltic states. The financial depth (bank loans / GDP) has positive trend and the highest (62.5%) level in region.

Beyond positive results and achievements, the sector has some critical challenges. First should be mentioned an inadequate high level of sovereign credit rating. Therefore, banks from Georgia cannot borrow the cheap resources abroad. High interest rate on loans is damaging the loan portfolio structure, where share of corporate loans are second, after household loans. These problems are reflected in structure of the revenues. The leading sources of the cash inflows are interest from household loans (36%) and non-interest incomes (37%).

NAZI BARATASHVILI

Doctoral student of Kutaisi University

ZAZA PHARSENADZE

Doctoral student of Kutaisi University

WAYS TO INCREASE TAX POLICY AND EXPORT POTENTIAL AS THE BASIS FOR SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

Abstract

The article reviews the country's tax policy as regulating part of economic relation, export-oriented trade policy stimulation, and export promoting policy, sustainable development aspects, role of taxes in ensuring sustainable economic development, Georgia's foreign trade dynamics, economic growth strategy through export stimulation, definition of tax policy directions.

Against the background of current economic processes in the country a lot of attention is given to the most significant element of economic policy, increasing of export potential, tax policy and tax system formation and improvement issues. Therefore, the main task is to optimize export and import and harmonize internal and external markets. But proper tax policy is necessary precondition of further stable development of the country's economy. Harmonization of entrepreneurs' commercial interests and state interests depends on it in general. Taking into account economic tasks and challenges Georgia faces and for country's sustainable development, the main directions should become economic stability of the country's tax policy and stimulation of priority fields of economics, development of sectors of export products and promoting of export growth, country's economic security protection.

ELGUJA DEISADZE

LLC Kutaisi University,

Assistant Professor

THE ROLE OF RURAL TOURISM FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RURAL AREAS

Abstract

If rural tourism as a new concept is considered to have economically, socio-culturally and environmentally positive impacts on the region, it is clear that it is definitely necessary to utilize rural tourism potential.

For better results the whole range of the stakeholders have to participate in the planning stage. Slow and stable steps are needed for this kind of planning in order conflicts and mistakes to be avoided.

Rural tourism plans are the parts of a general rural region development plans and carrying out the needed research activities (incl. Marketing studies) is the duty of the official administrative units, which have the responsibility of sustainable rural development or rural tourism development.

TEONA GRIGOLASHVILI

Assistant professor of Kutaisi University

EVENTS AS A MAIN COMPONENT OF TOURISM BUSINESS**Abstract**

Event management has significant place in tourism. Events are classified as mega events, main events, regional and local events. Event tourism mostly is defined as planning, development, marketing and promotion. Events are attractions on destination management and they are main impulses for traveling. Events attract high-contact travelers willing to have more experiences with local people. Events are focused on society and celebration.

Nowadays the role of Events on tourism business is increased in Georgia. It is clear that our country is very interesting destination for tourists. During 2017-2018 years number of tourists is enlarged by 17%, these dates are strengthened by declarations of private sector. During 2014-2017 years number of tourists has increased from 525 249 to 1 026 259 person.

Currently Event market is developing in our country. It is main reason why we find it difficult to find information about conducted events during the years, and shares of events on tourism revenues.

GIORGI SHIKHASHVILI

Doctor of Economics, Invited professor of TSU

Faculty of Economics and Business

**SYNERGISTIC ASPECTS OF SOCIO-ECONOMIC AND
MANAGERIAL ACTIVITY IN THE WORKS AND CREATIVITY
OF ST. GABRIEL, IMERETI BISHOP****Abstract**

For modern Georgia the historical importance is the solving of socio-economic and managerial problems on the basis of national, religious and universal world views, based on a harmonious relationship.

For the true progress of Georgia it's inevitable to comprehend the society development regulatory from biblical and religious-ethic positions. It's necessary to turn back to Georgian traditional ideology and revive-develop Christian economic mentality and the relevant economic and managerial activities harmonious combined with contemporaneity.

The base of the Georgia national social-economic development conception must be the unity of paradigms issued from Christian doctrine of Saint Gabriel Bishop.

Namely on a such a divine foundation must be guided the synergistic and moral Social-economic and managerial activities for true progress of our country.

BORIS CHICHINADZE

Doctor of Economics, Akaki Tsereteli State University

LOCAL SELF-GOVERNANCE DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA

Abstract

During the period of 15 years since the collapse of the Former Soviet Union the formation of new States, it had been highlighted that there was a need for decentralization of public finances. The paper analyzes the specificity of the dynamics of the share of the local self-governance budgets in the summary budget over the last decade, and it has been concluded that Georgia functions in a paternalistic model of State; it acts as a some kind of stabilizing and equilibrating agent, but the municipalities appear to us only as subjects, which spend money.

According to the conclusion taken as result of research: in order to enable local authorities to exercise their powers properly, they should be provided with sufficient financial resources, for which it is necessary to reconsider the issue of expanding their revenue base. To that end, it is advisable to award the local tax status to any State tax or turn it into a regulatory fee; this model should not reduce the effectiveness of tax administration, and it should stimulate the increase of the tax base of local self-government.

VALISHVILI TEA

Akaki Tsereteli State University, Associate Professor,

GENELIDZE LIA

Akaki Tsereteli State University, Visiting Teacher,

BRANDS AND THEIR POSITION AT MODERN GEORGIAN MARKET

Abstract

As it known consumers perceives the brands and branded products as high quality products. The brand is characterized by always being in the center of attention. Strong brand creates a base for creating positive and profitable relationships with customers. In order to study attitudes towards the brands of Georgian consumers, a survey was conducted involving more than 600 respondents. During the research process, the following key questions were revealed: what the brands for the respondents meant, what characteristics of the brand they preferred, which brands they were familiar with, how they expressed preference, what they expected from the brand or what could make them change, did they pay attention to advertising and etc. Taking into consideration all of this, we present the attitude of Georgian consumers to brands, which will help to Georgian producers to reinforce the image and achieve loyalty to consumers.

